ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ქართული მარში იშლება?

სანდრო ბრეგაძე: „ეს ხალხი რესპუბლიკელებს, სოროსს და ნაციონალებს იმსახურებს“

გვ.4



16 ნოემბრიდან

რომან გვენცაძე

საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




ხუთშაბათი, 16 ნოემბერი, 2017 №272 (7507) ფასი: 50 თეთრი

# „ივანიშვილს კალაძის ნარმანიზაცია არ გაუჭირდება“



გვ.4

„ბიძინამ თბილისის ახალ მერს სამთავრობო ცვლილებებით სერიოზული მინიშნება მისცა“

## დემურ გიორხელიძე: „წამლებზე ფასები განუსაზღვრელი მასშტაბით იზრდება“

გვ.5



## „გახარიას შსს აუჯანყდება“



ზვიად კუპრავა: „რუსებს კვირაიას შემდეგ საქართველოში ასე ნაგლად მინისტრი არ დაუნიშნავთ“

გვ.2

„როგორ შეიძლება სპეცრაზმს ბუღალტერმა უხელმძღვანელოს?!“



## სოფო ხორგუანი: „სახალხოდამცველობა ოფიციალურად არავის შემოუთავაზებია ჩემთვის“

გვ.3



**სამართალი** გვ.7



### ნანუაშვილი: „პოლიციელების მხრიდან, სავარაუდოდ, განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება უნდა განახლდეს“



### ციანიდის საქმე არ უნდა დაეხურათ



### კიევში ყაჩაღური თავდასხმის ბრალდებით საქართველოს 5 მოქალაქე დააკავეს

**ეკონომიკა** გვ.6

### არჩილ მესტვირიშვილი: „ლარის ვარდნა მოლოდინების ბრალია“



### აკაკი ჩარგეიშვილი: „ეროვნულ ბანკს პასუხი უნდა მოვთხოვოთ“




### ვინ არის ბლუმბერგის 10 ყველაზე მსხვილი მოთამაშე საქართველოდან



### გაგარინის №10-ში მცხოვრები მოსახლეობის ქირის ხარჯებს მერია გადაიხდის

ISSN 1987-9385

8 „ჩრდილოეთ კორეის ხალხმა ტრამპს სიკვდილი მიუსაჯა“

6 კომპანია „აგარის შაქარმა“ წარმოება ისევ შეაჩერა

3 კახა კალაძემ დავით კირკიტაძე მთაწმინდის გამგებლად დანიშნა

5 თბილისში მგელი დაიჭირეს

# „გახარიას შსს აუჯანყდება“



## „როგორ შეიძლება სპეცრაზმს ბუღალტერმა უხელმძღვანელოს?!“

შორენა მარსაგიშვილი

ახალი შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი სამუშაო დღე ინციდენტით დაიწყო. გუშინ, 15 ნოემბერს, სამართალდამცავებმა იუსტიციის სახლის წინ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები დააკავეს. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები იუსტიციის სახლთან ბანერის აღმართვას ცდილობდნენ. ამ ბანერზე იმ ადამიანების სახელები და ფოტოები იყო, რომლებიც, აქციის ორგანიზატორების თქმით, 2012 წლიდან დღემდე სისტემამ იმსხვერპლა.

პოლიციამ სხვებთან ერთად სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავაც დააკავა, დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე მან „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ ეს აქცია ახალი მინისტრისთვის ერთგვარი ტესტი იქნებოდა.

კუპრავა ფიქრობს, რომ გიორგი გახარიას და მის გუნდს შსს-ს მართვა გაუჭირდება. რა კითხვებს აჩენს ახალი მინისტრის ბიოგრაფია, რა პრობლემები შეექმნება მას სამინისტროში, რას შეეწირა მღებრიშვილი, ჩააბარა თუ არა გახარიამ ტესტი? – ამის შესახებ ზვიად კუპრავა „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ზვიად კუპრავა:**

– გიორგი გახარიამ პირველი ტესტი ვერ ჩააბარა. იუსტიციის სახლთან

ჩვენ არ ვაპირებდით მემორიალური დაფის ჩაბეტონებას და მყარად დამონტაჟებას. ამ ბანერზე არის წარწერა, სახელები და გვარები იმ ადამიანების, ვინც სისტემამ ბოლო წლების განმავლობაში იმსხვერპლა. 2012 წლიდან – ბარბარე რაფალიანციდან პაატა პავლიაშვილის ჩათვლით, ყველა ის ადამიანი, ვინც არის სისტემის მსხვერპლი.

***– სანამ ახალ მინისტრზე ვისაუბრებდეთ, ძველიც გავიხსენოთ. თქვენ ჯერ კიდევ მაისის თვეში აცხადებდით, რომ მღებრიშვილი თანამდებობას დატოვებდა და ამას საპარლამენტო უმრავლესობაც ითხოვდა. ნამინისტრალთან რომ კითხვები ჰქონდათ, ეს ირაკლი კობახიძემ მხოლოდ რამდენიმე დღის წინ აღიარა. თქვენი აზრით, რას შეეწირა მღებრიშვილის სკამი – ბექა ხახუბიას, პაატა პავლიაშვილს თუ იყო კიდევ სხვა მიზეზებიც?***

– მღებრიშვილის თანამდებობიდან წასვლის მიზეზი მხოლოდ ხახუბია და პავლიაშვილი არ არის. მისი შს მინისტრობიდან გადაყენება დადებითი მოვლენაა და ეს საზოგადოების აქტიურობის შედეგია.

მღებრიშვილს მოკლე ვადაში საკმაოდ ბევრი ცოდვა დაუგროვდა. ვერ ვიტყვი, რომ ის შეგნებულად აკეთებდა ამას, მაგრამ იმდენად არასწორად მართა სამინისტრო, რომ სისტემა დეგრადირდა. ამ დეგრადირებულმა სისტემამ გამოიწვია ის კრიზისები, რასაც ადგილი ჰქონდა შსს-ში. უკეთესი მდგომარეობა არც ღარიბაშვილის და ჭიკაიძის მინისტრობის დროს ყოფილა. მათ დროს დაგროვილ პრობლემებს ახალი დაემატა და ამ ყველაფერმა მღებრიშვილის მინისტრობის დროს იფეთქა.

***– გამოდის, რომ მხოლოდ მღებრიშვილის ბრალი არ ყოფილა და ყველა იგივე დღეში ჩავარდებოდა, ვინც არ უნდა დაენიშნათ მინისტრად.***

– სისტემა თუ არ დალაგდა, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება შს მინისტრი? კაბალური სისტემის პირობებში, პოლიციელმა ადამიანს შეიძლება ისეთი ტიპის ზიანი მიაყენოს, რომ მან თვითმკვლელობა სცადოს.

როდესაც სისტემა პოლიციელს აძალებს, რომ მან ადამიანები თანამშრომლობაზე ძალით დაიყოლიოს, ვღებულობთ იმ ფაქტებს, რაც გვაქვს. რამდენიმე თვითმკვლელობა სწორედ ამ დაძალების გამო მოხდა. მოქალაქემ მხოლოდ თავისი სურვილით უნდა ითანამშრომლოს პოლიციასთან. ასეთ დროს ის თავს არ მოიკლავს.

სხვათა შორის, პოლიციას აქვს გეგმა. პატრული ვალდებულია, რომ თვეში ნასვამ მძღოლებზე 30 ოქმი გამოწეროს, ხოლო 20 პირი წვრილმან ხულიგნობაზე უნდა დააკავოს. თუ პოლიციელი ხედავს, რომ ამ გეგმას ვერ ასრულებს, სამსახურის დაკარგვის შიშით, ის იძულებულია, მოქალაქე პროვოკაციაზე წამოაგოს და წვრილმან ხულიგნობაზე დააკავოს.

ესაა, რაც იწვევს კონფლიქტს მოქალაქესა და პატრულს შორის. ასეთი კონფლიქტები ზოგჯერ ისე სრულდება, როგორც ეს პაატა პავლიაშვილის შემთხვევაში მოხდა.

***– გეგმა ახსენეთ და ოფიციალურად სთხოვენ პოლიციელს, თვეში ამდენი და ამდენი ადამიანი დააკავეთო?***

– ამას არაფორმალურად ითხოვენ. როდესაც განწესში უშვებენ, ეუბნებიან, თუ რამდენი ოქმი უნდა შემოიტანონ. ეს არის სიტყვიერი დავალება მხოლოდ და ამიტომაც ხდება, რომ არჩევნების წინ კლებულობს ოქმების რაოდენობა.

არჩევნების წინ ხალხის გაღიზიანებას ერიდებიან და პოლიციასაც ნაკლები გეგმა აქვს შესასრულებელი. რასაც ახლა გეუბნებით, ეს მხოლოდ ლოგიკა არ არის. ეს გახლავთ არსებული რეალობა. პოლიციელებთან მჭიდრო კავშირები მაქვს და გარკვეულ ინფორმაციებსაც ვფლობ.

***– საუბრისას თქვენ აღნიშნეთ, რომ მღებრიშვილის მინისტრობის დროს სისტემა დეგრადირდა. გიორგი გახარია და მისი გუნდი შეძლებენ არსებულ გამოწვევებთან გამკლავებას?***

– შს მინისტრად დაინიშნა ადამიანი, რომელსაც არანაირი შეხება არ ჰქონია პოლიციასთან. მეტიც, დარწმუნებული ვარ, სისხლის სამართლის კოდექსიც კი არ სჭერია ხელში. მას არც ჰქონია ამის ვალდებულება, რადგანაც ეკონომისტი და ბიოლოგია. შესაძლოა, თავის საქმეში სერიოზული პროფესიონალია, თუმცა მთლად ასეც არ არის, რადგანაც მისი მინისტრობის დროს ეკონომიკა ძალიან მძიმე დღეში აღმოჩნდა. ახლა მას სულ სხვა ხედვა ჩააბარეს.

როგორ შეიძლება შს მინისტრად დაინიშნოს ადამიანი, რომელმაც ისიც კი არ იცის, თუ როგორ უნდა მართოს ძალოვანი უწყება. ეს ძალოვანი უწყება არ შედგება მარტო ოპერებისგან, გამომძიებლებისა და დეტექტივებისგან. შსს-ს ჰყავს საიდუმლო სამსახურები, ჰყავს აგენტები და რეზიდენტები. შსს-ში იწერება უამრავი საიდუმლო ბრძანება, არის საიდუმლო ანგარიშები. უამრავ საიდუმლოს ინახავს ეს უწყება.

როდესაც ადამიანი პოლიციაში იწყებს მუშაობას, დანიშვნამდე მას აძლევენ 3-თვიან ვადას. ამ პერიოდში მან უნდა შეისწავლოს ერთი საგანი. ამ საგანს ვერც ერთ უმაღლეს სასწავლებელში ვერ ისწავლი. ამ საგანს მხოლოდ შსს-ში ასწავლიან და მას „საიდუმლო“ ჰქვია.

შსს-ში მუშაობის დაწყების მსურველს აძლევენ სპეციალურ სქელ-




ტანიან რვეულს, რომელშიც წერია საგანი „საიდუმლო“. საინტერესოა ისიც, რომ ეს ბეჭდვითი ლიტერატურა არ არის. საგანი „საიდუმლო“ ხელით არის ნაწერი.

თანამშრომელს თუ ამ უწყებაში მუშაობის სურვილი აქვს, ეს საგანი უნდა ისწავლოს და 3 თვის შემდეგ ჩააბაროს. მინდა გითხრათ, რომ ამ საგნის სწავლა ადვილი სულაც არ არის.

***– თქვენ ეს საგანი ნასწავლი გაქვთ?***

– ნასწავლი მაქვს და ამიტომ ვამბობ, რომ მისი სწავლა ადვილი არ არის. საგნის ჩაბარება ხდება გამოცდაზე. რადგან საგანი რთულია, წარუმატებლობის შემთხვევაში ადამიანს მეორედაც აძლევენ გამოცდაზე გასვლის საშუალებას. მეორედაც თუ ვერ ჩააბარებს ამ საგანს, ის აღარ ინიშნება შინაგან საქმეთა სამინისტროში. ძალიან მაინტერესებს, რომელი „საიდუმლო“ აქვს ნასწავლი გახარიას, რომ ამხელა თანამდებობაზე ნიშნავენ.

როცა გავიგე, რომ გახარია შს მინისტრად ინიშნებოდა, მისი ბიოგრაფია შევისწავლე. მას დამთავრებუ-



## ზვიად კუპრავა: „რუსებს კვირაიას შემდეგ საქართველოში ასე ნაგლად მინისტრი არ დაუნიშნავთ“

ლი აქვს მოსკოვის, ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი. ჩემთვის ყველაზე მიუღებელი აღმოჩნდა ის, რომ 2006-2009 წლებში გახარია მოსკოვში კითხულობდა ლექციებს. ეს ის პერიოდია, როცა რუსეთი საქართველოს ბომბებს უშენდა. აგვისტოს ომი 2008 წელს იყო. არა მგონია, ლომონოსოვის უნივერსიტეტში ვინმეს მარტივად მისცენ აუდიტორიასთან კომუნიკაციის საშუალება.

ეს ყველაფერი მაფიქრებინებს იმას, რომ ამ ადამიანს უფრო სიღრმისეული ბმა და კონტაქტები აქვს რუსეთში, ვიდრე ეს ჩვენ გვგონია. რამდენიმე დღის წინ ფეისბუქზეც დავწერე და თქვენთანაც გავიმეორებ, რომ კვირაიას შემდეგ ასე ნაგლად რუსეთს ჩვენთვის შს მინისტრი არ დაუსვამს.

შს მინისტრს მარტო კრიმინალებთან ბრძოლა არ ევალება. მას ქვეყნის უსაფრთხოებაც აბარია. სამინისტროში მისვლის დღიდან გახარიას უფლება ეძლევა, გაეცნოს ყველა საიდუმლო და სრულიად საიდუმლო მასალებს.

მე მისი რუსული კავშირები მიჩენს ეჭვებს და არა ის, რომ გახარია არის ბიოლოგი და ეკონომისტი. შსს-ში მისმა ეკონომისტობამაც შეიძლება შექმნას რაღაც პრობლემები.

***– მაინც რა პრობლემები შეიძლება შეიქმნას?***

– მოგეხსენებათ, რომ ის აქამდე ეკონომიკის მინისტრი იყო და ამ უწყებაში ყავდა თავისი გუნდი. გახარია ამ ხალხს შსს-ში საკვანძო თანამდებობებზე დანიშნავს. პოლიტიკურ თანამდებობებზე სულ ეკონომისტები და ფინანსისტები დაინიშნებიან. შსს აპოლიტიკური უნდა იყოს, მაგრამ მინისტრი პოლიტიკური ფიგურაა, ისევე, როგორც მისი მოადგილეები.

დაკომპლექტდება ახლა შსს ბუღალტრებით და აუდიტებით. ეს ხალხი თავის საქმეში ალბათ პროფესიონალია, მაგრამ საერთოდ არა აქვთ წარმოდგენა, როგორ უნდა მართონ შსს. მითხარით, როგორ შეიძლება სპეცრაზმს ბუღალტერმა უხელმძღვანელოს?! სპეცრაზმი მარტო ძალა არ არის და მის მართვას სპეციალური ცოდნა სჭირდება.

ერთ ძალიან მარტივ კითხვას ვსვამ, გახარიას ეკონომიკური გუნდიდან ვინ უნდა ჩაიბაროს საგამოძიებო უწყება. 20 წლის სტაჟის მქონე გამომძიებელს რომელმა ფინანსისტმა ან აუდიტმა შეიძლება გაუსწოროს ხარვეზი?

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ პოლიცია ცოტა სხვა სისტემაა. იქ თვალებით შეჭამენ გახარიასაც და მის მოადგილეებსაც. ის იქ ფიზიკურად ვერ იმუშავებს. ერთადერთი, რასაც გახარია და მისი გუნდი გააკეთებენ, იქნება ის, რომ ზემოდან წამოსულ დავალებებს გაატარებენ.

***– ამბობთ, რომ გახარია სისტემას ვერ მართავს. რასაც თქვენ ამბობთ, ამაზე პრემიერსაც უნდა ჰქონდეს ნაფიქრი. არ უნდა მთავრობის მეთაურს, რომ შსს-მ გამართულად იმუშაოს?***

– საქმეც ისაა, რომ ეს გადაწყვეტილება კვირიკაშვილს არ მიუღია. მას იმდენი გონიერება ეყოფოდა, რომ ეკონომიკური გუნდის მინისტრი ძალოვან უწყებაში არ გადმოეყვანა.

მინდა გაგახსენოთ, რა მოხდა 2012 წელს, როცა ხელისუფლებამ შს მინისტრი თავდაცვის მინისტრით ჩაანაცვლა. ვანო მერაბიშვილის ბაჩო ახალაიათი ჩანაცვლებას ძალიან მტკივნეულად შეხვდა შსს.

***– ეს მართლა ძალიან მტკივნეული იყო, მაშინ შსს ასეულობით პოლიციელმა დატოვა.***

– ასე იყო. ბევრი წამოვიდა შსს-დან. ის ცვლილება, რაც დღეს ჩვენ გვაქვს, გაცილებით უფრო მტკივნეული იქნება, ვიდრე ის, რაც 2012 წლის ზაფხულში განხორციელდა.

***– თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ პოლიციას ვანო მერაბიშვილის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. მღებრიშვილი ასე ძალიან არ უყვართ.***

– პოლიციაში დღესაც სვამენ ვანოს სადღეგრძელოს. ის პოლიციელებისთვის ყველაზე საუკეთესო მინისტრი იყო. მღებრიშვილს საერთოდ არ ჰქონდა ავტორიტეტი. შეიძლება სხვა რომელიმე უწყებამ აიტანოს რყევები, მაგრამ ამას პოლიცია ვერ აიტანს.

სიმართლე თუ გინდათ, პოლიცია ვერც იმ ხალხს იტანს, ვისაც მათზე ნაკლები კომპეტენცია აქვს. გამოცდილი ოპერისთვის ძნელი ასატანი იქნება გამოუცდელი ფინანსისტი.

***– აბა რაში სჭირდებათ ასეთი მინისტრი?***

– არაფერში და ძალიან მალე აუჯანყდებიან.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოფო ხორგუანი: „სახალხოდამცველობა ოფიციალურად არავის შემოუთავაზებია ჩემთვის“

ნონა ცაბაძე

სახალხო დამცველს უფლებამოსილება 7 დეკემბერს ეწურება. უკვე სახელდება სხვადასხვა კანდიდატები, თუ ვინ შეიძლება იყოს ახალი სახალხო დამცველი. ბოლო პერიოდია, კულუარებში აქტიურად განიხილება სოფო ხორგუანის გვარი. „ახალი თაობა“ სოფო ხორგუანს ესაუბრა.

***— სოფო, ბოლო დღეებია კულუარებში აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ სახალხო დამცველის თანამდებობაზე სწორედ თქვენი კანდიდატურა განიხილება. რას იტყვით ამის შესახებ? სოციალურ ქსელში გაჩნდა მილოცვის ტექსტები და ასე შემდეგ. ეს ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს?***

— რას მილოცავენ, რომ განიხილება ჩემი კანდიდატურა?!

***— ითქვა ისიც, რომ უკვე გადაწყვეტილია ეს საკითხი.***

— როგორ შეიძლება უკვე გადაწყვეტილი იყოს, ეს გადაწყდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პარლამენტის დადგენილება იქნება, თუ ვინ იქნება ომბუდსმენი. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ვთქვათ, რომ ესა თუ ის ადამიანი გახდება ქვეყნის სახალხო დამცველი და მხოლოდ მაშინ შეიძლება, რომ მივულოცოთ.

***— იმას დამიდასტურებთ, რომ თქვენი კანდიდატურაც გავა პარლამენტში?***

— ვერა, იმიტომ, რომ ეს ინფორმაცია არ მაქვს და ეს სიმართლეა. ეს სხვებსაც ვუთხარი. შესაძლოა, თქვენ ჩემზე მეტი ინფორმაცია გაქვთ ამის შესახებ, იმიტომ, რომ მე ოფიციალურად არავისთან არ მქონია საუბარი, ვგულისხმობ მას, ვინც უნდა შემომთავაზოს, ვიღაცამ ხომ უნდა წარგადგინოს? სადღაც განიხილება თუ არ განიხილება, ამაზე ახლა მე ვერ ვილაპარაკებ, იმიტომ, რომ არ ვიცი, მე ამ განხილვებს არ ვესწრები. მეც თქვენსავით ვიცი, რომ სადღაც განიხილავენ ამ კანდიდატურას.

***— ანუ არსებობს ამ მოარული ხმების საფუძველი?***

— მე მესმის, რომ ამას საფუძველი აქვს და მადლობელი ვარ, როდესაც ვიღაც ფიქრობს, რომ, შესაძლოა, ჩემი კანდიდატურა ამ თანამდებობაზე განიხილებოდეს. სოციალურ ქსელში ვინც მწერს და მილოცავს, ყველას ვეუბნები, რომ ჯერ არ ვარ წარდგენილი. წარდგენაც მოსალოცია, იმიტომ, რომ ისეთი საპატიო სამსახურია ეს, როდესაც ვიღაც განგიხილავს ამ თანამდებობაზე, ეს უკვე ძალიან საპატიო რამეა ჩემთვის. ბოლო დღეებია, იმხელა მხარდაჭერა და გულშემატკივრობა გამოხატეს ჩემ მიმართ, რომ სულ რომ არაფერი არ იყოს, ჩემთვის ესეც ძალიან ბევრს ნიშნავს.




***— სოფო, ნუთუ არანაირი კულუარული ინფორმაცია არ გაქვთ ამის შესახებ?***

— ეს ინფორმაციები ძირითადად ჟურნალისტებისგან მაქვს, რომ ჩემი კანდიდატურა სადღაც განიხილება.

***— ანუ ოფიციალურ დონეზე არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა?***

— არა, ჩემო კარგო, არ ყოფილა. ამას ნამდვილად არ დავმალავ. ამისთანა კარგ ამბავს რატომ დავმალავდი?!

***— სიამოვნებით დათანხმდებით ამ შემოთავაზებას?***

— სიამოვნება არასწორი სიტყვაა. ეს არის ურთულესი საქმე, ძალიან დიდი პასუხისმგებლობა. მე მაქვს ჩემი საქმე, ჩემი ცხოვრება, ჩემი გეგმები, მაგრამ ეს ისეთი საპატიო საქმეა, ისე მიყვარს, ისეთი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს ამ ინსტიტუტის მიმართ, იცით, რომ ურთულეს დროს ვმუშაობდი იქ. ძალიან სენტიმენტალური და ძალიან მშობლიური დამოკიდებულება მაქვს ამ ინსტიტუტის მიმართ.

ეს არის ერთადერთი საქმე, რის გამოც შეიძლება უარი ვთქვა ყველაფერზე. ვიღაცისთვის შესაძლოა ეს პრესტიჟია და დამატებითი სოციალური სტატუსი, ხოლო ჩემთვის ეს არის პასუხისმგებლობა. როდესაც ამ სამსახურში მიდიხარ, შენ საკუთარ თავს, საკუთარ ოჯახს არ ეკუთვნი, არავის შენ გარშემო. ეკუთვნი მხოლოდ ამ ინსტიტუტს და იმ ადამიანებს, ვისაც შენი იმედი აქვს და შენი დახმარება სჭირდება. ამიტომ ეს ურთულესი საქმეა. ამ სიტუაციაში მე მახარებს უბრალოდ ის, რომ ვიღაც ასე მენდობა.

***— კიდევ ვისი კანდიდატურები განიხილება, რა ინფორმაციას ფლობთ? ითქვა, რომ საიას თავმჯდომარის კანდიდატურაც მოიაზრება ამ თანამდებობაზე. მოვისმინეთ ანა ნაცვლიშვილის განცხადებაც, რომ სიამოვნებით დათანხმდება ამ შემოთავაზებას.***

— არა, მე არაფერი ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რაც თქვენ იცით. მგონია, რომ თქვენ, ჟურნალისტებმა, ჩემზე მეტი იცით. აი, ასეთი ვითარებაა. ვიმეორებ, რომ ვიცოდე, ნამდვილად არ დავმალავ. რა არის ამაში დასამალი.

***— დიდი დრო აღარ დარჩა, მალე ვადა ეწურება უჩა ნანუაშვილს.***

— კი, კი, 7 დეკემბერს ეწურება ვადა, მახსოვს ეს თარიღი. ამიტომ ძალიან მალე გაირკვევა და გაურკვევლობაში არ იქნებით არც თქვენ და არც მე, თუ რაზე ჩამოყალიბდნენ დეპუტატები. ყველას ეყოლება თავისი კანდიდატი, ოპოზიციასაც და მმართველ გუნდსაც, ვნახოთ, ვინ ვის კანდიდატურას წარადგენს. ამ ინსტიტუტს ძალიან ვგულშემატკივრობ, ის ჩემი ცხოვრების ნაწილია.

## სერგი კაპანაძე: „ახალ უწყებას რატომ უქმნით მღებრიშვილს? ხომ შეიძლებოდა, ის უბრალოდ სახლში გაგეშვათ?“

— ახალ უწყებას რატომ უქმნით მღებრიშვილს? ხომ შეიძლებოდა, ის უბრალოდ სახლში გაგეშვათ? — ამის შესახებ საშემოდგომო სესიის პლენარულ სხდომაზე ვიცე-სპიკერმა სერგი კაპანაძემ განაცხადა.



საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატმა ამავე კონტექსტში მთავრობის მიერ დაანონსებული სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ რეალურად ცვლილებები ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებას არ ემსახურება.

— როგორც პრინციპი მთავრობის ხარჯების შემცირება კარგია, თუმცა ბევრი კითხვის ნიშანი დარჩა. მაგალითად, ჩვენ არ მოგვისმენია თუ რა ოდენობის ხარჯის შემცირებას აპირებს ხელისუფლება და ეს დანაზოგი რაზე უნდა დაიხარჯოს.

კითხვები მაქვს ასევე დაანონსებულ სტრუქტურულ ცვლილებებზე — რეალურად მოხდა სუს-ის გაძლიერება. თქვენ შარშან ბიუჯეტი გაუზარდეთ, ახლა კიდევ უფრო მეტ ფუნქციას სძენთ. ეს არის საბოლოო ჯამში ქვეყნის დემოკრატიისთვის ცუდი და უკან გადადგმული ნაბიჯი.

თუ ასეთი მნიშვნელოვანია ხარჯების შემცირება, ახალ უწყებას რატომ უქმნით მღებრიშვილს? ხომ შეიძლებოდა, ის უბრალოდ სახლში გაგეშვათ??

გარდა ამისა, ამ ცვლილებების შედეგად გააერთიანეთ სახელმწიფო აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. ამ სამინისტროს რეალური მისია იყო რეფორმების კოორდინირება, თუმცა როგორ წარმოგიდგენიათ კოორდინირება რეფორმების? სადმე გინახავთ, რომ შიდა პოლიტიკური რეფორმების კოორდინირებას ახორციელებდეს საგარეო საქმეთა სამინისტრო? — განაცხადა სერგი კაპანაძემ.

დეპუტატი ლარის გაუფასურების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ამ ფონზე რიგი მაღალჩინოსნები კვლავ აგრძელებენ დანამატების აღებას წლის განმავლობაში.

— პარლამენტი ტრადიციულ სტილში განახლდა და ტრადიციულ სტილში გვესმის თავის ქება. მინდა ცოტა ხნით რეალობაში დაგაბრუნოთ. ალბათ ნახეთ ტაბლოებზე გამოქვეყნებული ლარის კურსი. გეტყვით, რომ კურსი დოლართან მიმართებაში 2.71 იყო, ხოლო ევროსთან მიმართებით 3. 21.

ყველაზე მაღალია ეს მაჩვენებლები, რაც კი საქართველოს ისტორიაში ყოფილა და თქვენი ხელისუფლების პირობებში მოხდა სამწუხაროდ ეს. ასევე დღეს სტატისტიკის სამსახურმა გამოაქვეყნა ინფორმაცია თუ როგორი ეკონომიკური ზრდა იყო შარშან, ასევე 2008 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა — 2,4 პროცენტი.

როდესაც ასეთი ეკონომიკური სიდუხჭირეა, ბოლო დღეების განმავლობაში გვესმის, რომ სუს-ის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა 36-ჯერ მიიღო დანამატი წლის განმავლობაში, შსს-ს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა 41-ჯერ მიიღო დანამატი, კახეთის საოლქო პროკურორმა 23-ჯერ მიიღო დანამატი და მათი წლიური შემოსავალი 150 ათას ლარზე ადის, — განაცხადა სერგი კაპანაძემ.

## ვახუშტი მენაბდე: „სახალხო დამცველის პოსტზე ჩემი წარდგენის შემოთავაზება საინტერესო იქნება, თუ ასეთი შემოთავაზება იარსებებს“

— ჩემთვის, როგორც ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე ადამიანისთვის, რომელიც ასევე დიდი ხნის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში საქმიანობდა, ეს შემოთავაზება საინტერესო იქნება, თუ ასეთი შემოთავაზება იარსებებს.




ამის შესახებ კონსტიტუციონალისტი ვახუშტი მენაბდე „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას სახალხო დამცველის პოსტზე მისი კანდიდატურის შესაძლო დასახელებასთან დაკავშირებით აცხადებს.

როგორც მენაბდე ამბობს, კონსულტაციები არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან ამ დრომდე არ გამართულა, თუმცა აღნიშნავს, რომ მისი კანდიდატურის შესახებ, სხვა კანდიდატურებთან ერთად, არასამთავრობო სექტორი მსჯელობს.

— არავითარი კონსულტაცია არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან არ მქონია. გავრცელებული ინფორმაცია არის აბსოლუტურად არასწორი. მეც, როგორც თქვენ, თვალყურს ვადევნებ საინფორმაციო სივრცეში გაჟღერებულ სიახლეებს. ჩემთვისაც ეს საკითხი სწორედ ამგვარად გახდა ცნობილი. ოფიციალური შემოთავაზება და კონსულტაცია არ მქონია არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან.

პირველ რიგში, ის, რომ ამ საკითხზე მიმდინარეობს მსჯელობა და ამ კონტექსტში ჩემი სახელი და გვარი არის გაჟღერებული, ძალიან დიდი პატივია, რადგან სახალხო დამცველის თანამდებობა და ინსტიტუტი კონსტიტუციურად ძალიან მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, ჩემთვის, როგორც იმ ადამიანისთვის, რომელიც ამ სფეროში მუშაობს, დიდი ხნის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში საქმიანობდა, ეს შემოთავაზება საინტერესო იქნება, თუ ასეთი შემოთავაზება იარსებებს. რაც შეეხება კონკრეტულ პოლიტიკურ ძალებთან ამ საკითხის განხილვას, კიდევ ვიმეორებ, რომ არ მომხდარა. ეს არის პარლამენტის, საკანონმდებლო ორგანოს გადასაწყვეტი. სწორედ მან უნდა იმსჯელოს იმის შესახებ, ვინ გახდება საქართველოს სახალხო დამცველი. ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანის სახელი და გვარი გაჟღერდა. ჩვენ, აკადემიურ სივრცეს, სამოქალაქო და არასამთავრობო ორგანიზაციებს მხოლოდ კონსულტაციის ფორმატით შეგვიძლია ჩავერთოთ დეპუტატებთან ამ საკითხების განხილვაში. საბოლოო გადაწყვეტილებას, ცხადია, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, კანდიდატის წარდგენასაც და მის დამტკიცებასაც, პარლამენტი წყვეტს, — ამბობს მენაბდე.

გავრცელებული ინფორმაციით, ოპოზიციურმა ფრაქციებმა სახალხო დამცველობის კანდიდატად პარლამენტს არასამთავრობო სექტორთან კონსულტაციების საფუძველზე, შესაძლოა, სწორედ ვახუშტი მენაბდის კანდიდატურა წარუდგინონ.

## კახა კალაძემ დავით კირკიტაძე მთაწმინდის გამგებლად დანიშნა

თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის რაიონების გამგებლების კანდიდატები წარადგინა. საბურთალოს რაიონის გამგებლობის კანდიდატი — გაიოზ ვასაძე იქნება, მთაწმინდის რაიონის გამგებლობის კანდიდატი — დავით კირკიტაძე, კრწანისის რაიონის გამგებლობის კანდიდატი — ლევან ჯაფარიძე, ვაკის რაიონის გამგებლობის კანდიდატი — ნოდარ ტურძელაძე, დიდუბის რაიონის გამგებლობის კანდიდატი — ირმა ზავრადაშვილი, ჩუღურეთის რაიონის გამგებლობის კანდიდატი — ზურაბ ჩიკვილაძე, გლდანის რაიონის გამგებლობის კანდიდატი — ბექა მიქაუტაძე, ნაძალადევის რაიონის გამგებლობის კანდიდატი — ირაკლი ხელაძე, ისნის რაიონის გამგებლობის კანდიდატი — კახა ლაბუჩიძე, სამგორის რაიონის გამგებლობის კანდიდატი — დავით კერესელიძე.

თბილისის მერის მიერ წარდგენილი კანდიდატურები საკრებულოს გადაეგზავნება.

## თბილისის ბიუჯეტში 200 მილიონი ლარის დაზოგვა შესაძლებელია

„ევროპული საქართველოს“ პროექტის მიხედვით, შესაძლებელია ბიუჯეტში 200 მილიონი ლარის დაზოგვა, რაც გაბერილი ბიუროკრატიისა და არამიზანმიმართული ხარჯების შეკვეცის შედეგი იქნება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საკრებულოში „ევროპული საქართველოს“ დეპუტატმა გოკა გაბაშვილმა განუცხადა, რომელმაც კომენტარი გააკეთა თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.



მისივე თქმით, „ევროპული საქართველო“ არა თუ გაეცნობა ბიუჯეტის პროექტს, არამედ თავიანთ ალტერნატივას წარმოადგენენ. კერძოდ, თუ როგორ შეიძლება უკეთ დაიხარჯოს ბიუჯეტი თბილისელების სასარგებლოდ, უფრო ორიენტირებული იყოს სოციალურ პროგრამებზე და როგორ შეიძლება ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებით აღნიშნულის განხორციელება.

მისივე თქმით, გამოთავისუფლებული თანხებით შესაძლებელია მუნიციპალური დანამატის გაკეთება პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველებისათვის.

# დავით ზურაბიშვილი: „ივანიშვილს კალაძის ნარმანიზაცია არ გაუჭირდება“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სამთავრობო ცვლილებებზე საუბრობს.



***– ბატონო დავით, თქვენ განაცხადეთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დამდგარი შედეგის, კონკრეტულად კი თბილისში კალაძის გამარჯვების საპასუხო სვლა გააკეთა ივანიშვილმა იმ სამთავრობო ცვლილებებით, რომლებიც კვირიკაშვილმა შემოგვთავაზა. რამდენად არგუმენტირებულია თქვენი მოსაზრება?***

– ძალიან მოულოდნელად შემოვარდა ეს ცვლილებები. სერიოზული ლოგიკა არის იმაში, რომ დიახ, ეს სამთავრობო ცვლილებები პირადად ბიძინა ივანიშვილის მიერ არის მომზადებული. ეს არის ერთგვარი პასუხი იმაზე, რომ კახა კალაძე გახდა თბილისის მერი. თანაც კალაძემ ძალიან აქტიურად დაიწყო თავისი საქმიანობა, ის აცხადებს, რომ შეურიგებელი იქნება. რასაკვირველია, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ კალაძე ივანიშვილთან აპირებს დაპირისპირებას ან პირიქით, მაგრამ ივანიშვილი ამ ნაბიჯით გარკვეულ მინიშნებებს უკეთებს კალაძეს. რა თქმა უნდა, მათ შორის ჯერჯერობით არანაირი განხეთქილება არ არის, მაგრამ ივანიშვილისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ არავინ გაძლიერდეს ზომაზე მეტად.

მან დანიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად ის ადამიანი, რომელიც არის პირადად მისი პროტეჟე და არა რომელიმე მასთან ახლოს მყოფი გარემოცვის წევრი. ასევე, აწინაურებს პირადად მის მიერ შერჩეულ კადრს რკინიგზიდან ბახტაძეს და აძლიერებს ქუმსიშვილის უწყებას. ეს ყველაფერი სწორედ იმაზე მიუთითებს, რაზეც მოგახსენეთ. ბევრი საპასუხისმგებლო უწყება პირადად ივანიშვილის ხელში ექცევა.

ასევე, საინტერესო იყო ამ კონტექსტში თბილისის მერიაში მომხდარი საკადრო ცვლილებები. ძველი გარემოცვიდან, მერის მოადგილეებიდან ერთადერთი კადრი დარჩა, ბატონი ნიკოლაიშვილი, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა უშიშროებაში. ნიკოლაიშვილიც ივანიშვილის კადრია და სწორედ ამ ნიშნით დარჩა ის მერიაში. თავის დროზე ის ნარმანიას ოდეერი იყო.

ფაქტია, რომ თუ ვინმე დამოუკიდებელ თამაშს დაიწყებს და დამატებით ინიციატივებს გამოავლენს, მაშინ ივანიშვილი ფლობს იმ ბერკეტებს, ისეთ ხერხებს, რომ ის კალაპოტში ჩააყენოს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ივანიშვილს არ გაუჭირდება კალაძის ნარმანიზაცია.

***– რაში სჭირდება ივანიშვილს პოზიციების გაძლიერება, როდესაც ის ისედაც არის ერთპიროვნული ლიდერი გუნდში თუ ხელისუფლებაში?***

– რა თქმა უნდა, რასაკვირველია, მაგრამ ძალაუფლების ტექნოლოგია, რომელიც გულისხმობს სწორედ კულუარებიდან მართვას და არანაირად პოლიტიკური გუნდის ყოლას და მათ მიერ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებსა და პასუხისმგებლობას, ეს გულისხმობს კადრების ხშირ ცვლას და ასევე, არანაირად ეს არ გულისხმობს ხელისუფლების შიგნით რომელიმე დაჯგუფების გაძლიერებას. პირიქით, როგორც კი რომელიმე თავს წამოყოფს, მას უნდა ჩაარტყა, სწორედ ამას გულისხმობს მართვის ეს სტილი. თანაც ერთმანეთთან დაპირისპირებაში უნდა გყავდეს. ეს არის ტიპიური მოდელი: გათიშე და იბატონე!

***– თქვენ ამბობთ, რომ რეალურად პრემიერმა კვირიკაშვილმა არ შემოგვთავაზა ეს ცვლილებები?***

– კვირიკაშვილი ვერანაირ ცვლილებებს ვერ შემოგვთავაზებდა. ეს ეტყობოდა კიდეც, რადგან საქმის კურსში არ იყო. ეს მისთვისაც მოულოდნელი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 2018 წლის ბიუჯეტი პარლამენტში უკვე კენჭნაყარია. ეს ცვლილებები კვირიკაშვილის ჩანაფიქრი რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ეს ცვლილებები შესაბამისად იქნებოდა ბიუჯეტის პროექტში ასახული თავის დროზე.

ეს ნიშნავს, რომ ამ სამთავრობო ცვლილებებზე და ოპტიმიზაციაზე არავის წარმოდგენა არ ჰქონდა. ამიტომ ლოგიკური ეჭვი ჩნდება, რომ ეს იყო არა კვირიკაშვილის ინიციატივა, არამედ ივანიშვილის გადაწყვეტილება. თან ივანიშვილს, როგორც ჩანს, კარგად ნაფიქრი აქვს. ის არ არის ის ადამიანი, რომელიც რაღაცაზე ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს მიიღებს. კარგად იფიქრა, არჩევნების შედეგებს დაელოდა და მერე გააკეთა ეს სვლა.

***– თქვენ ამბობთ, ეს არის ივანიშვილის პასუხი კალაძეს.***



„ბიძინამ თბილისის ახალ მერს სამთავრობო ცვლილებებით სერიოზული მინიშნება მისცა“

– დიახ, ჯერ მხოლოდ პასუხი.

***– კალაძეს აქვს მეტი ამბიცია, ამ შემთხვევაში როგორ განვითარდება მოვლენები?***

– სამი ვარიანტია: ერთი, კალაძეს მოუწევს თავისი ამბიციების მოთოკვა და დამორჩილება იმ თამაშის წესებისთვის, რასაც ივანიშვილი შესთავაზებს. მეორე, თვითონ ივანიშვილს მოუწევს კალაძის ამბიციების შეგუება. მესამე, არც ერთი არ შეეგუება და მათ შორის იქნება ღია კონფლიქტი.

***– გიორგი კვირიკაშვილი ჯერჯერობით შეინარჩუნებს პოზიციებს თუ შეიძლება საპრეზიდენტო კანდიდატად გადაინაცვლოს?***

– გიორგი კვირიკაშვილი აშკარად ვერ არის პოლიტიკური ლიდერი. ვერ არის, არც თავად აქვს ამის ამბიცია. მას ნაკლებად ეკითხება პოლიტიკის წარმართვა, განსაზღვრა, მით უფრო, მას საერთოდ გამოცლილი აქვს უშიშროება, მთავრობის მეთაურია, მაგრამ უშიშროება მას არ ექვემდებარება. უფრო არის უცხოელებთან საურთიერთო კაცი, კონსტრუქციულ ურთიერთობაშია უცხოელებთან, ასევე განათლების სფეროში, სადაც მაქსიმუმ ჰყავდეს თავისი კადრი.

ამდენად, ივანიშვილისთვის კვირიკაშვილი საპრეზიდენტო კანდიდატად კარგი ფიგურაა. დასავლეთთან ცუდად არ მოიქცევა, არ შეგარცხვენს, მაგრამ ჯერ კვირიკაშვილს პრეზიდენტობის სურვილი არ აქვს და ეს განაცხადა კიდეც. თუმცა, მას შეუცვლია აზრი, როდესაც ივანიშვილის აზრი განსხვავებული ყოფილა.

# ქართული მარში იშლება?

## სანდრო ბრეგაძე: „ეს ხალხი რესპუბლიკელებს, სოროსს და ნაციონალებს იმსახურებს“

შორენა მარსაგიშვილი

ქართული მარშის თემა კვლავ აქტუალურია. გავრცელებული ინფორმაციით, ახლო მომავალში ქართული მარში დაიშლება. ამის შესახებ ქართული მარშის ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე დაწერა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით „ახალი თაობა“ სანდრო ბრეგაძეს დაუკავშირდა.

***– ფეისბუქზე თქვენს სტატუსს დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. საზოგადოებას ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ქართული მარში იშლება. მართლა იშლებით?***

– დიდი გულისტკივილით მინდა გითხრათ, რომ ეს ხალხი ქართულ მარშს არ იმსახურებს. ეს ხალხი იმსახურებს სოროსის დაფინანსებულ არასამთავრობოებს, ნაციონალებსა და რესპუბლიკურ პარტიას.

ჩვენ არავისთვის არ გვითხოვია, რომ ტაში დაგვიკრან, მაგრამ არც ამხელა სიძულვილს ვიმსახურებთ. მხოლოდ იმიტომ გვაგინებენ, რომ ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ. სამწუხაროა ისიც, რომ ჩვენ დასაცავად ხმის ამოღებაც კი არავის უნდა. ამიტომაც აღარც ჩვენ ამოვიღებთ ხმას და ვნახავთ ერთი, რა მოხდება.

***– გაჩერებას აპირებთ თუ დაშლას? იქნება უფრო გარკვევით გვიპასუხოთ?***

– ამ მომენტში კონკრეტულ პასუხს ვერ გაგცემთ. ჩემ გარდა ქართულ მარშს უამრავი წევრი და მხარდამჭერი ჰყავს. ჩვენ შევიკრიბებით და მივიღებთ გადაწყვეტილებას. მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლება იმის თქმა, იშლება თუ არა ქართული მარში.



ჩვენი ლანძღვის პარალელურად, სოციალურ ქსელში ერთი ამბავი არის ატეხილი იმაზე, რომ თბილისში, ტაბიძის ქუჩაზე ირანელებმა ბარიდან ქართველი ბიჭები გამოყარეს. ქართული მარში ამას აუცილებლად გააპროტესტებდა. კლავიატურის ლომები კი მხოლოდ სოციალური ქსელით იბრძვიან. ძალიან მალე მიხვდება ყველა, რა საქმეს აკეთებდა ქართული მარში და რა საფრთხეს აცილებდა ქვეყანას თავიდან.

ჩვენ უაზრო რაღაცებზე გვეკიდებიან და ამ დროს არავინ არ აპროტესტებს იმ ინფორმაციას, რომელიც რადიო თავისუფლებამ გაავრცელა.

რადიო თავისუფლების ინფორმაციით, ქუთაისელებმა ქართული მარშის მიერ სტადიონზე ლგბტ თემის დროშის დაწვა გააპროტესტეს. მე წარმოშობით ქუთაისელი ვარ და კარგად ვიცი ქუთაისელების განწყობა. ვიცი მათი დამოკიდებულება ლგბტ თემის მიმართ. აქედან გამომდინარე რადიო თავისუფლებამ ქუთაისელებს შეურაცხყოფა მიაყენა. ამ ინფორმაციით მეც შეურაცხყოფილი ვარ.

***– ამბობთ, როგორც ქუთაისელი, შეურაცხყოფილი ვარო და აუცილებლად უნდა გკითხოთ იმ ვიდეოზე, რომელიც ქუთაისთან დაკავშირებით გავრცელდა. ამ ვიდეოზე ქართული მარშის ქეიფია ასახული, სადაც თქვენც ხართ და იქ გია კორკოტაშვილი ქუთაისელებს აგინებს.***

– თქვენი აზრით, ვარ მე ის ადამიანი, რომელიც ვინმეს უფლებას მისცემდა, ქუთაისელებისთვის ეგინებინა? ეს ვიდეო არის დამონტაჟებული. სინამდვილეში სულ სხვანაირად იყო საქმე, კორკოტა მართლა იგინება, ოღონდ ის გვარამიას და გაბუნიას აგინებს.

იმის მაგივრად, რომ სიმართლე დაედგინათ, უცბად აიტაცეს ეს სიბინძურე. გული იმაზე მწყდება, რომ ეს იმ ხალხმაც დაიჯერა, ვინც ჩვენი მხარდამჭერია. ჩვენ აუცილებლად დავამტკიცებთ სიმართლეს, მაგრამ ის ხალხი რას იზამს, ვინც ტყუილად გვლანძღავდა.

ქართულმა მარშმა უკვე შეიტანა სარჩელი სასამართლოში იმ საინფორმაციო საშუალებების წინააღმდეგ, რომლებმაც ეს ფალსიფიკაცია გაავრცელეს. ახლა ვნახოთ, რომელ ქუთაისის გინებაზეა საუბარი? კიდევ ერთხელ ვამბობ, თავად ვარ ძირძველი ქუთაისელი და როგორ ფიქრობთ, სანდრო ბრეგაძე ვინმეს იმას გაებედინებდა, მისი თანდასწრებით ქუთაისელებისთვის ეგინებინა? გამოვიდოდა, რომ მეც მაგინებდნენ.

იქ გია კორკოტაშვილმა შესვა ქუთაისის სადღეგრძელო, რომლის ვიდეოც გვაქვს. იქ კორკოტა ამბობს, იმ ვაჟკაც ქუთაისს გაუმარჯოს, რომელმაც ლგბტ-ს კუდით ქვა ასროლინა. კორკოტამ ისაც დაამატა იქვე, ჩასვრილ ქუთაისს და სხვა ქალაქებს არ გაუმარჯოსო.

***– რაღაც დოზით მაინც შეუგინებია.***

– არ იყო ეს გინება. რომც ყოფილიყო, ქუთაისისთვის არ შეუგინებია. ან ამ გინებაზე რომ ჩაიციკლნენ, ერთი ნასვამი კაცი მაინც მანახეთ, ვისაც არ შეუგინებია. კორკოტაშვილი პოლიტიკოსი რომ ყოფილიყო, მართლა დასაგმობი იქნებოდა მისი ლექსიკა. არ არის ეს ადამიანი პოლიტიკოსი. სხვათა შორის, პოლიტიკოსებიც იგინებიან და ძალიან ცუდადაც.

***– თქვენც იყავით პოლიტიკაში და თქვენგან გინება არ მახსოვს. არც ახლა გამიგია თქვენგან ასეთი ლექსიკა. ბევრს უკვირს, როგორ პოულობთ თქვენ იმ ხალხთან საერთო ენას, ვინც ასე იგინება?***

– მე არავისთვის არ შემიგინებია და არც მიბილწსიტყვავია. არსებულ მდგომარეობაში, თავისუფლად შემიძლია ავდგე, განზე გავდგე და ვთქვა, ნახეთ, რა კარგი ბიჭი ვარ, არაფერი არ მეხება და ქართული მარშის წევრები რას აკეთებენ, ჩემი საქმე არ არის-თქო.

ამას ვერ ვიტყვი, რადგან ვიცი, ჩემს თანამებრძოლებს ეს ვიდეოები, ყველაფერი დაუმონტაჟეს, ეს ყველაფერი კეთდება სპეციალურად შურისძიების მიზნით.

***– ვის და რატომ უნდა შურისძიება?***

– საქართველოს მტრებს. მოდით ვაღიაროთ, რომ ქართული მარშის წევრები საქართველოსთვის იბრძვიან.

ძალიან ბევრი ამ თავდადებას არ აფასებს და ამიტომაც მიჩნდება ისეთი განცდა, რომ ქართველები ქართულ მარშს არ იმსახურებენ. ჩვენ ის ერი ვართ, რომელმაც მოკლა ილია ჭავჭავაძე და ზვიად გამსახურდია. მოდით, ვაღიაროთ, რომ საქართველოში იმ ხალხს არ სწყალობენ, ვინც ქართულ საქმეს აკეთებს.

ჩვენ ხმას აღარ ამოვიღებთ და მერე ნახავთ, რაც მოხდება ამ ქვეყანაში. თბილისის ცენტრში ხომ აღარ უშვებენ ქართველებს ბარებში, უარესები მოხდება. არ გამიკვირდება, ერთ მშვენიერ დღეს, პარლამენტის შენობის და მთავრობის ადმინისტრაციის თავზე ლგბტ დროშა ააფრიალონ.

ამით არ დაკმაყოფილდებიან და ყველას სახლებში შევლენ. აივნებიდან ფერადი დროშების გადმოფენას მოითხოვენ. ქორწილებში იმას ველარ გაარჩევენ, რომელია სიძე და რომელი პატარძალი. ჩვენ ამის წინააღმდეგ ვიბრძვით, მაგრამ არ უნდათ და გყავდეთ სოროსი.

***– აშკარაა, რომ ხალხზე ხართ ნაწყენი.***

– ნაწყენი როგორ არ ვიქნები. შიშველი ხელებით ვიბრძვით, საშინელ რაღაცებს გვიგონებენ და ერთი მხარდაჭერა არავის გამოუხატავს. იმასაც არ არკვევენ, რა მოხდა და ეგრევე გინებაზე გადადიან.

ძალიან გულსატკენი იყო ერთ-ერთი სასულიერო პირის განცხადებაც, რომელმაც ლგბტ თემს დაუჭირა მხარი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს პიროვნება ახალაიების ახლობელია, არაფერი მიკვირს. მე სხვა სასულიერო პირების დუმილი უფრო მაკვირვებს. მათ უნდა იცოდნენ, რომ ლიბერასტების მთავარი სამიზნე ხვალ ეკლესია იქნება.

ციანიდის საქმე სპეციალურად შეთითხნეს, რომ ეკლესიის ყურადღება გადაეტანათ. მალე გენერალური შეტევა დაიწყება ეკლესიის წინააღმდეგ და ვნახოთ, ამას ვინ გააჩერებს.

# თამარ ჩხეიძე: „არა მგონია, თბილისის გაუდაბნოების პროცესი შეწყდეს“

## „ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვა სხვანაირად უნდა ხდებოდეს“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს ესაუბრა.

***– სამთავრობო ცვლილებების გამოცხადებიდან რამდენიმე დღე გავიდა. საზოგადოებში სულ უფრო მეტად იკვეთება უნდობლობა ამ რეორგანიზაციის მიმართ. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ასეთი დამოკიდებულება?***

– ამ ცვლილებებით, ძირითადად, არ იცვლება პოლიტიკის არსი, რომელსაც „ქართული ოცნება“ ახორციელებს. არც გადაწყვეტილებების მიმღებია შეცვლილი. ყველაფერს წარმართავს პიროვნება, რომელიც უმეტესად საერთოდ არ ჩანს.

***– ცვლილებები საჭირო გახდა?***

– ცვლილებები საჭირო გახდა, ჯერ ერთი, რეფორმების ილუზიის შესაქმნელად. მეორეც, ხელისუფლებაში ამგვარი გადაადგილებები თუ სტრუქტურული გარდაქმნები ხშირად დაკავშირებულია ხელისუფლების შიგნით არსებული დაჯგუფებებისა თუ პიროვნებების ინტერესებთან.

***– თუ ერთ-ერთი მიზანი რეფორმების ილუზიის შექმნაა, გამოდის, რომ ამ მიზანს ხელისუფლებამ მაინცდამაინც ვერ მიაღწია? საზოგადოება ამ რეფორმებს ეჭვით უყურებს.***

– მთელი საზოგადოება ამაში ვერ დაარწმუნეს. მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობენ რეფორმების იმიტაციას.

***– ამ გადაწყვეტილებებით „ქართული ოცნება“ პოზიციას იმყარებს?***

– იქიდან გამომდინარე, რომ დღეს საქართველოს საზოგადოება და ფაქტობრივად ოპოზიციაც ქმედითი არ არის, „ქართულ ოცნებას“ პოზიციის გამყარებაზე განსაკუთრებული ზრუნვა არ სჭირდება. საზოგადოება არ რეაგირებს იმ საკითხებზე, რომლებზეც უნდა რეაგირებდეს. ამიტომ, ხელისუფლებას ყოველთვის აქვს ბერკეტები ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ეს, როგორც წესი, გრძელდება მანამდე, სანამ არ მოხდება ფონის ძირეულად შეცვლა. ამ ეტაპზე ფონი არ შეცვლილა.

***– დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციამ. ბუნებრივი რესურსების ნაწილი ეკონომიკის უწყებას უერთდება, ეკოლოგიის ნაწილი კი – სოფლის მეურნეობის სამინისტროს.***

– ეს ნიშანდობლივია და ცხადყოფს, რა დამოკიდებულება აქვს ამ ხელისუფლებას გარემოს მიმართ. ეკოლოგია, გარემოს დაცვა არ შედის მმართველი ელიტის ინტერესში. ამ სიტუაციაში არაა გასაკვირი, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს საჭიროებას ეს ადამიანები ვერ ხედავენ.

***– ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვა როგორ უნდა ხდებოდეს?***

– ჯერ არ ვიცით, იზოგება თუ არა სერიოზულად ხარჯები ამ რეორგანიზაციით. რომ ხდებოდეს კიდეც ეკონომია, აქ სხვა მიდგომებია აუცილებელი. ხარჯების დაზოგვა რომ უნდოდეს, ხელისუფლება სხვანაირად მოიქცეოდა. მაგალითად, ჩინოსნების ზედა ფენა საერთოდ უარს იტყოდა პრემიებსა და დანამატებზე, ძვირადღირებულ ნივთებზე, ასევე, გააუქმებდა მთელ რიგ თანამდებობებსა და მათ აპარატებს.

***– გუბერნატორის ინსტიტუტიც გაქვთ მხედველობაში?***

– რასაკვირველია. თავის დროზე გუბერნატორის თანამდებობა შემოიღო შევარდნაძემ. ეს იყო ქვეყნის მხარეებად დაყოფისა და ფედერალიზაციის დაწყების მცდელობა. საქართველოს ფედერალიზაცია შედიოდა რუსეთის გეგმებში. შევარდნაძემ რუსეთის შეკვეთით ეს პროცესი დაიწყო. გუბერნატორის ინსტიტუტი გასაუქმებელია.

***– გარდაქმნებს აანონსებს თბილისის მერიის ახალი ხელმძღვანელობაც.***

– არა მგონია, თბილისის გაუდაბნოების პროცესი შეწყდეს. დედაქალაქის მწვანე საფარის განადგურება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ნარმანიას დროს. არ მოველი, რომ ეკოლოგიაზე კალაძემ იზრუნოს. მის მიმართ ნდობა ბევრს დაეკარგა მაშინ, როცა ის „გაზპრომთან“ დოკუმენტებს ხელს აწერდა, ხუდონჰესსა და ოკუპაციაზე ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებდა. ამ საკითხებზე კალაძემ წინა წლებში ისაუბრა, ბოლო დროს აღარ წამოუწევია, თუმცა ისინი საზოგადოებას არ დავიწყებია.



# „წამლებზე ფასები განუსაზღვრელი მასშტაბით იზრდება“

ნონა ცაბაძე

ლარის კურსი სულ უფრო უფასურდება. „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძე პასუხობს.

***– ბატონო დემურ, ლარი 2,7 ნიშნულს გადაცდა. ვინ არის ამ პროცესში პასუხისმგებელი? მოსახლეობას სერიოზული კითხვები აქვს, პასუხის გამცემი კი არ ჩანს.***

– პირველ რიგში საუბარი უნდა იყოს იმაზე, რომ რაკი საპარლამენტო რესპუბლიკაზე ვართ ჩვენ ორიენტირებული, პოლიტიკას ამტკიცებს და მთავრობას მთლიანობაში მაკროეკონომიკურ პოლიტიკას უმტკიცებს საქართველოს პარლამენტი! ამიტომ, პირველ რიგში, საქართველოს პარლამენტი უნდა სცემდეს პასუხს მთავარ პრობლემურ საკითხზე, რასაც ჰქვია პოლიტიკის რაობა, რა იყო განსაზღვრული და შემდეგ უკვე, როგორც ეროვნულ ბანკს, როგორც მაკროეკონომიკური ერთ-ერთი ნაწილის, ანუ მონეტარული პოლიტიკის გამტარებელს, უნდა ეთქვა, ტექნიკურად რა ვერ გააკეთა მან.

***– მთავრობაზე რას იტყვით?***

– მთავრობის ფისკალური ანუ საბიუჯეტო, საგადასახადო და ბიუჯეტშორისო ურთიერთობები ასევე უნდა იყოს მიმართული ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებაზე. ამიტომ პრობლემა არის მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და ხედვებში და ფუნდამენტალური პრობლემების არსებობაში ეკონომიკასა და იმაში, რომ საქართველოს ძალიან მწირი ეკონომიკა არის მიზერულად გადაფარული ქართული ფულით, ამიტომ არის დოლარიზაციის ასეთი უზარმაზარი პროცენტი.

***– ლარის დეფიციტია?***

– ფული ძალიან ცოტაა მიმოქცევაში, ლარზე მაქვს საუბარი. გადაფარვა ეკონომიკისა 18%-ს შეადგენს მხოლოდ ფულით. ნებისმიერ გონიერ ადამიანს, რომელსაც თუნდაც ოჯახი უწარმოებია, საქმეები უწარმოებია, თუნდაც ნებისმიერმა გონიერმა დიასახლისმა კარგად უნდა იცოდეს, რას ნიშნავს ფულით გადაფარვა იმისა, რასაც აკეთებს წლის განმავლობაში მთელი ქვეყანა. ამიტომ პრობლემები ფუნდამენტალურია, არაფერი არ იცვლება, არაფერი არ წყდება და ჩვენ გვაქვს ერთი და იგივე სიტუაცია. რა მნიშვნელობა აქვს, 2,7 იქნება თუ 2,6?! ხვალ სხვანაირი კურსი იქნება და ზეგ სხვანაირი. ეს არ არის საბაზრო ძალებიდან გამოწვეული.

***– რისგან არის გამოწვეული?***

– ეს არის პოლიტიკის დეფექტი და ასე იქნება მანამ, სანამ არ გამოსწორდება ეს დეფექტი. ლარის კურსი იყო უსაშველოდ მაღალი, ესეც დავას არ იწვევდა, რომ ეს ხელოვნურად გაკეთებული იყო და მას ვერც ვერავინ ვერ დაამაგრებს, იმიტომ, რომ თუ ჩვენ ეკონომიკის განვითარებაზე ვსაუბრობთ და თუ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ადამიანების აქტიურობა იყოს ხელშეწყობილი, ჩვენ გვაქვს ფუნდამენტალური პრობლემა ფინანსებთან დაკავშირებით. ამიტომ მუდამ ითამაშებს ლარი ამ პოლიტიკის გამო და ჩვენ ყველანი ვკარგავთ ძალიან სერიოზულ ფულს.





**დემურ გიორხელიძე: „ამით მხოლოდ იმპორტიორები და ოლიგოპოლისტები იგებენ“**

***– ოპტიმიზაცია, სამინისტროების შერწყმა სიტუაციის გამოსწორებას შეუწყობს ხელსო და ეს ვერ უშველის ამ პრობლემას?***

– ეს ნამდვილად არ უშველის ამას, იმიტომ, რომ ეს გაცილებით სხვა სიღრმის და სხვა კონტექსტში არსებული პრობლემაა.

***– წნეხი კი აწვება მოსახლეობას და მის ჯიბეზე ტყდება ჯოხი.***

– მოსახლეობაზე, ბიზნესზე. ერთადერთი, ვინც იგებს, არიან იმპორტიორები და ეს ოლიგოპოლისტები, რომლებიც ხელისუფლების ხელშეწყობით შესანიშნავად გრძნობენ თავს და არანორმალურად ზრდიან ფასებს.

აიღეთ თუნდაც ფარმაცევტული ბაზარი, კატასტროფა ხდება! სრული განუკითხაობაა! ნახეთ, როგორ გაიზარდა ოლიგოპოლიური ბაზარი ნავთობპროდუქტებზე. იმპორტიორები შესანიშნავად გრძნობენ თავს და ძალიან კარგად იციან, რომ მათ საქმეს არაფერი ემუქრება, რადგან ამ ვითარებაში საკუთარ წარმოებას ქვეყანა ვერასდროს ვერ შეძლებს იმ დონით, რომელმაც შეიძლება იმპორტიორებს გაუწიოს კონკურენცია სწორედ იმ დარგებში, რომელთა განვითარებაც სჭირდება საქართველოს.

***– იმპორტის წინააღმდეგი ხართ?***

– იმპორტი უნდა დარჩეს იმისი, რისი წარმოებაც ჩვენ არ შეგვიძლია, მაღალ ტექნოლოგიებში და ასე შემდეგ, მაგრამ კიტრი, პომიდორი, ვაშლი, ხახვი, ნიორი და ასე შემდეგ, როცა შემოდის განუსაზღვრელი რაოდენობით ქვეყანაში, ეს უკვე დიდი უჭკუობის ბრალია. მთლად უჭკუობაც არ არის, შესანიშნავად განაწილებულია იმპორტის სფეროები და ისინი თავს ძალიან კარგად გრძნობენ.

***– ანუ იკვეთება ინტერესთა ჯგუფი იმათი, ვინც ხეირობს შექმნილი სიტუაციით?***

– ეს თავისთავად ცხადია. არის ინტერესთა ჯგუფი, რომლებიც კარგად ორგანიზებულია, მშვენივრად ლობირებენ თავიანთ საქმეს. ეს სულაც არ არის უკანონო საქმიანობა, უბრალოდ, სხვა ჯგუფებია ძალიან სუსტი.

***– მონოპოლიაა?***

– უფრო ოლიგოპოლიაა ეს ყველაფერი, როცა რამდენიმე მთავარი მოთამაშეა. ყველაზე სუსტი ამაში არაორგანიზებული და ემოციას აყოლილი ქართველი მოსახლეობაა, საქართველოს მოქალაქეებია, რომელთაც ხან ერთი ბელადი უყვართ და ხან – მეორე. ეს ბელადები ვერ უმართლებენ მათ და ვერასდროს გაამართლებენ. ორგანიზებული ინტერესთა ჯგუფები თავის მიზნებს შესანიშნავად აღწევენ, ხოლო მოსახლეობა თავის მიზნებს ვერ აღწევს იმიტომ, რომ იგი უბრალოდ არასწორად ფიქრობს. როცა ადამიანები არასწორად ფიქრობენ, ისინი ყოველთვის წარუმატებლები არიან.

***– მდიდრდება ვიწრო ჯგუფი და ღატაკდება მოსახლეობა?***

– ასეა და ეს სულაც არ არის იმ ვიწრო ჯგუფის ბრალი. ეს არის საერთო თამაშის წესების ჩამოუყალიბებლობის და გაუწონასწორებელი სიტუაციის ბრალი.

***– რაში ხედავთ გამოსავალს?***

– გამოსავალი ძალიან მარტივია. ქვეყანას აქვს შესანიშნავი პერსპექტივები განვითარებისთვის. იგი ნელა, მაგრამ არასაკმარისი ტემპებით წინ მიდის, მაგრამ ეს ძალიან მცირე ტემპებით ხდება და ამიტომაც იგი ჯერჯერობით სოციალურ სფეროზე არ აისახება. ეს მოუწესრიგებელი პრობლემები რომ არ ამძიმებდეს ეკონომიკას, სიტუაცია გაცილებით უკეთესი იქნებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს ეს გაუთავებელი ლარის თამაში, მით უმეტეს, ქვეყანა არის იმპორტზე დამოკიდებული. ჩვენს ქვეყანაში რაც ხდება, ეს არის გაუგონარი რამ.

***– რა თვალსაზრისით?***

– დაავადებულია ნახევარი საქართველო. რიგებია აფთიაქებში. მსოფლიოში ალბათ მეორე ქვეყანა არ მოიძებნება ასეთი, სადაც მხოლოდ ორ ადგილზეა რიგები, აფთიაქში და ბანკში. ასეთი რამ წარმოუდგენელია, ეს მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში ხდება და ეს რასაც ნიშნავს, თქვენ კარგად უნდა გესმოდეთ.

***– აფთიაქები ახსენეთ და გვესმის შეფასებები, რომ მედიკამენტებზე კატასტროფულად იმატა ფასებმა.***

– დიახ, ასეა. აი, ეს არის ყველაზე დიდი შეცდომა ხელისუფლებებისა წლების განმავლობაში! უკვე ორი ათეული წელია, ყალიბდება ეს ოლიგოპოლიური ბაზარი, არარეგულირებული, ძალიან ცუდი ბაზარი, რომელიც ერთი მხრივ თითქოს ღიაა, მეორე მხრივ, დაცულია, რომ ამ მთავარ მოთამაშეებს არავინ შეუშალოს ხელი, რომ არ გაჩნდნენ წვრილი მოთამაშეები და ა.შ. მე ვხედავ განუსაზღვრელი მასშტაბებით წამლებზე ფასების ზრდას! თქვენ რომ შეადაროთ, იმპორტული წამლები რა ფასებით შემოდის და შემდეგ რა ფასებად იყიდება, ეს არის გაუგონარი მასშტაბის მოგება, რომელიც არ შეიძლება იყოს. არ შეიძლება, ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობას ასე ექცეოდეს.

***– ანუ ხელისუფლება აძლევს ამ ბაზრის მოთამაშეებს ყოველივე ამის უფლებას?***

– ამის უფლებას აძლევს ხელისუფლება, არასწორი რეგულაციის პოლიტიკა და სწორედ ეს არის ძალიან დიდი პრობლემა!

# თბილისში მგელი დაიჭირეს

თბილისში, მაყაშვილის ქუჩაზე მგელი იპოვეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოში განუცხადეს, შესაბამისი შეტყობინება მათთან გუშინ შევიდა.



15 ნოემბერს ღამის საათებში თბილისის მერიის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოში შესული შეტყობინების თანახმად, თბილისში, მაყაშვილის ქუჩაზე მოსახლეობის მიერ შემჩნეულ იქნა მგელი. სააგენტოს ოპერატიული რეაგირების ჯგუფი მალევე მივიდა შემთხვევის ადგილას და სპეციალური შპრიცსასროლი თოფის მეშვეობით მოახდინეს მგლის დაძინება (გაბრუება) და დაჭერა, – განაცხადეს სააგენტოში.

მათივე ინფორმაციით, მგელი გადაიყვანეს მუნიციპალურ თავშესაფარში, სადაც მას შესაბამისი კვლევები და ანტირაბიული ვაქცინაცია ჩაუტარდა.

# არჩილ მესტვირიშვილი: „ლარის ვარდნა მოლოდინების ბრალია“

– თუ ჩვენ დავინახავთ, რომ კურსის ეს მაჩვენებელი დიდი ხნით იქნება გადახრილი მისი ფუნდამენტური მდგომარეობიდან, ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას ინფლაციას, ჩვენ ამაზე მოვახდენთ რეაგირებას, მათ შორის, გავამკაცრებთ მონეტარულ პოლიტიკას.

ამის შესახებ ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა არჩილ მესტვირიშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში ჟურნალისტებს განუცხადა.



არჩილ მესტვირიშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი და ამ ბაზრისთვის დამახასიათებელია ცვალებადობა.

– რაც შეეხება თვითონ კურსზე მოქმედ ფაქტორებს, ჩვენ ამაზე ბევრჯერ გავაკეთეთ კომენტარი, მათ შორის, არის დეტალური კომენტარი გამოქვეყნებული ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე ბოლო დროინდელ ცვალებადობასთან დაკავშირებით.

ფუნდამენტური ფაქტორები არის პოზიტიური. მოლოდინების მხრიდანაა გამოწვეული ეს ქცევა და ჩვენ რასაც ვხედავთ, რომ იმპორტიორებმა, რომლებიც ადრე იანვარ-თებერვალში ყიდულობდნენ ვალუტას, შესყიდვა ჯერ კიდევ აგვისტოდან დაიწყეს, ახლა ეს უფრო გააქტიურებულია, რაც ასევე დაკავშირებულია მოლოდინებთან, – განაცხადა მესტვირიშვილმა.

მისივე განმარტებით, როდესაც საუბრობს კურსზე, იგულისხმება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი არა ერთ ვალუტასთან დაკავშირებით, არამედ სხვადასხვა ვალუტების საშუალო შეწონილი.

– თუ ჩვენ დავინახავთ, რომ კურსის ეს მაჩვენებელი დიდი ხნით იქნება გადახრილი მისი ფუნდამენტური მდგომარეობიდან, ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას ინფლაციას, ჩვენ ამაზე მოვახდენთ რეაგირებას, მათ შორის, გავამკაცრებთ მონეტარულ პოლიტიკას, – განაცხადა მესტვირიშვილმა.

კითხვას, ხომ არ მოახდინა გავლენა კურსზე რომელიმე მსხვილმა ტრანზაქციამ, არჩილ მესტვირიშვილმა უპასუხა, რომ გასულ წელს, როცა მსხვილი ტრანზაქცია იყო, ამაზე ეროვნულმა ბანკმა კომენტარი და ინტერვენციაც გააკეთა. მისივე თქმით, წელს მსგავს ფაქტს ადგილი არ აქვს.

# აკაკი ჩარგეიშვილი: „ეროვნულ ბანკს პასუხი უნდა მოვთხოვოთ“

ლარის გაუფასურების შეჩერება ვერ ხერხდება. მცურავ რეჟიმში მყოფი ეროვნული ვალუტა დოლარის მიმართ ბოლო ერთი თვის განმავლობაში 20 პუნქტით – 2,4808-დან 2,6830 გაუფასურდა. დუმს ეროვნული ბანკი, მთავრობა ჯერ სტრუქტურული ცვლილებებით არის დაკავებული. ამ დროს კი ეკონომისტების ნაწილი უფრო პესიმისტურ პროგნოზს აკეთებს და დეკემბერში ლარის კურსის კიდევ უფრო დაცემას არ გამორიცხავს.



ეკონომისტი და ბიზნესსამართლის სპეციალისტი აკაკი ჩარგეიშვილის განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოში ეროვნული ბანკი აუცილებლად უნდა დაიბარონ, რათა განმარტოს, რატომ ვერ ხერხდება კურსის შეჩერება.

ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია „კომერსანტთან“ საუბარში არ გამორიცხავდა, რომ საკანონმდებლო ორგანოში ეროვნული ბანკის დაბარება მოხდეს.

ჩარგეიშვილის თქმით, მარეგულირებლის პარლამენტში დაბარება მხოლოდ ასეთ სიტუაციაში არ უნდა ხდებოდეს. ეს უნდა იყოს მუდმივ რეჟიმში, რათა მოხდეს საზოგადოების ინფორმირებულობა ეროვნული ბანკის გრძელვადიანი გეგმების შესახებ, თუ რას აკეთებენ ფისკალური პოლიტიკის მიმართულებით.

– ჩვენ გვირჩევნია, ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეკონომიკას და თავისუფალ საბაზრო კონკურენციას სჭირდება, მიიღოს სახელმწიფომ, რათა უფრო მეტად გრძელვადიანი შედეგები გვქონდეს. ერთდღიან შეჩერებას ეფექტი არ აქვს და კურსი სამი დღის შემდეგ ისევ გაიქცევა. კონკრეტულ ცხელ სიტუაციაში დაბარება კი საჭიროა, მაგრამ უფრო გრძელვადიანი გეგმების შესახებ უნდა ვიცოდეთ.

უნდა გვქონდეს მანამდე წარმოდგენილი გეგმა, რას აპირებდნენ. მათ პასუხი უნდა მოვთხოვოთ, თუ პროგნოზები დათვლილი ჰქონდათ, მაშინ რატომ ხდება ასეთი გაუფასურება. კონკრეტულ კითხვებს ვერ ვუსვამთ ეროვნულ ბანკს. ეს არის მთავარი პრობლემა, – აღნიშნავს ჩარგეიშვილი.

მისივე განმარტებით, ქვეყნის ფისკალურ პოლიტიკაზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები არ გვაქვს.

– ეროვნული ბანკი პარლამენტის მიერ მიტოვებულია. ეროვნული ბანკის მხოლოდ აუდიტირება ხდება და ისიც საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის მიერ. მისი საქმიანობის შესახებ საპარლამენტო კონტროლი პრაქტიკულად არ ხორციელდება. რა ნაბიჯები გადადგეს ფისკალური პოლიტიკის მიმართულებით, რა მოიტანა ამ ნაბიჯებმა, რამდენად სწორი იყო, რეფინანსირების განაკვეთი, რატომ შეინარჩუნა და ა.შ, მსგავს ანგარიშს არავინ იბარებს, – აცხადებს ჩარგეიშვილი „კომერსანტთან“ საუბრისას.

ეროვნული ვალუტის ასეთ გაუფასურებაზე გავლენა ბევრმა ფაქტორმა იქონია და მათ შორის იმანაც, რომ ხელისუფლებამ წლების განმავლობაში ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით ნაბიჯები არ გადადგა.

– ჯერ კიდევ წლების წინ ვამბობდი, რომ ქვეყანაში ეკონომიკური აქტიურობა არ არის. შემდეგ რაღაცები დაიძრა, ტურისტულმა ნაკადებმა იმატა, ეკონომიკა გარკვეულწილად გამოცოცხლდა. მაგრამ საერთო ჯამში მთავრობამ თავის დროზე არ გადადგა ისეთი სწრაფი ნაბიჯები, რომლებიც ეკონომიკას გააჯანსაღებდა.

ეროვნული ბანკიდან საფინანსო ზედამხედველობის გამოყოფა უნდა მომხდარიყო და საბოლოოდ არ გამოეყო. ამას მოჰყვა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღება, სახელმწიფოს მიერ კონკურენციის სააგენტოს შექმნა, მაგრამ ეს კანონმდებლობა იმ სათანადო დონეზე მაინც ვერ დადგა, რომ ბანკების პირდაპირი მონოპოლიზირებული კონკურენციის შეზღუდვა მომხდარიყო.

ასევე, იყო საუბარი საბანკო სფეროში არაპროფილური საქმიანობის აკრძალვაზე და ესეც მხოლოდ ინიციატივის დონეზე დარჩა. ამასობაში მოხდა ისე, რომ ბანკებმა სამშენებლო, სააფთიაქო, განათლების ბიზნესი და საფონდო ბირჟა მთლიანად ჩაიგდეს ხელში და კერძო მესაკუთრეს წილიც არ დაუტოვეს. მონოპოლიზირებამ ეკონომიკას თავისი უარყოფითი შედეგი დაუტოვა, მათ შორის, გაუფასურებული ლარი, – აცხადებს ჩარგეიშვილი.

მისივე თქმით, ლარზე უარყოფითი გავლენა საფინანსო კომპანია „საქართველოს“ მიერ მეანაბრეების დაზარალებამ და დაკარგულმა მილიონებმაც გამოიწვია.

– მოუგვარებელი და მოუწესრიგებელი დარჩა იპოთეკარებთან დაკავშირებული პრობლემები. ჩვენ ახლა გვყავს დაზარალებული 4.000 მეანაბრე და 120 მილიონი, რომელიც გაქრა ეკონომიკიდან, რამაც ქვეყნის ფისკალურ პოლიტიკას მნიშვნელოვნად დაარტყა. ამას ემატება საგარეო ვალები, რაც ქვეყანას უგროვდება და წლის ბოლოსკენ გვიწევს მათი გადავადება ან მომსახურება და გადახდა. ამ დროს დოლარის შესყიდვა ხდება, რაც ლარის ინფლაციას მეტად იწვევს, – დასძინა აკაკი ჩარგეიშვილმა.

# კომპანია „აგარის შაქარმა“ წარმოება ისევ შეაჩერა

კომპანია „აგარის შაქარმა“ წარმოება ისევ შეაჩერა. როგორც ცნობილია, კომპანია ბაზარზე რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ 2017 წლის ივნისში დაბრუნდა.

კომპანიის დირექტორი ალხან ალიზადე „კომერსანტთან“ წარმოების შეჩერების მიზეზად საერთაშორისო ბაზარზე ნედლეულის გაძვირებას ასახელებს. მისი განცხადებით, ამ ეტაპზე საქართველოში შაქარი დაფასოებული სახით ძირითადად ევროპიდან შემოდის, რომლის ფასიც დაბალია. შედეგად, ბრაზილიიდან შემოტანილი და აგარაში დაფასოებული შაქარი ფასით ევროპულს კონკურენციას ვერ უწევს.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე კომპანია მარაგებს ყიდის. ალიზადეს ინფორმაციით, ლარის კურსის გაუფასურებიდან გამომდინარე „აგარის შაქარმა“ 1 კილოგრამი შაქრის ფასი 5 თეთრით გაზარდა. ამ ეტაპზე ერთი კილოგრამი შაქრის საბითუმო ფასი 1.45 ლარია.



ალიზადეს განცხადებითვე, ბიზნესისთვის მთავარია კურსი სტაბილური იყოს.

კომპანია „აგარის შაქარმა“ წარმოება 2016 წლის ნოემბერში გააჩერა. მაშინ ალიზადე ქარხნის დახურვის მიზეზად იმპორტირებულ უკრაინულ პროდუქციასთან კონკურენციას და საერთაშორისო ბირჟებზე შაქარზე მაღალ ფასს ასახელებდა. კომპანიამ წარმოება მიმდინარე წლის ივნისიდან განაახლა.

# ახალი ფინანსური ტვირთი დეველოპერებისთვის

– სიმაღლეზე მომუშავე ადამიანებისთვის შესაბამისი სწავლების გავლის ვალდებულება დეველოპერული ბიზნესისთვის ფინანსური ტვირთი იქნება.



ასე ეხმაურება „მენაშენეთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ირაკლი როსტომაშვილი იმ რეგულაციას, რომელიც 2018 წლის 1 მაისიდან ამოქმედდება და რომელიც სიმაღლეზე მომუშავე ადამიანებს შესაბამისი სწავლების გავლას ავალდებულებს.

როსტომაშვილის განცხადებით, თუ საქართველოს უნდა ევროპული სტანდარტებით აშენოს და ამავე სტანდარტებით იცხოვროს, მსგავსი რეგულაციები სასწრაფოდ უნდა იქნას ამოქმედებული. მისი განცხადებით, მთელი ცივილიზებული სამყარო მუშახელს იცავს და ეს ფორმალურად არ ხდება.

– მაგალითად, გერმანიაში და თურქეთში ე.წ. მაღლივ სამუშაოებს ვინც ახორციელებს, იმას გასაუბრებისას პულსს და წნევასაც კი უზომავენ, სხვა შემთხვევაში, არ დაასაქმებენ. ეს ჩვენც უნდა გადმოვიღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპაში რა გვინდა? – აცხადებს როსტომაშვილი.

მისი განცხადებით, აღნიშნულ რეგულაციას სჭირდება შესაბამისი სწავლება და აღჭურვილობა. კითხვაზე, თუ არსებობს საქართველოში შესაბამისი ბაზა, სადაც მოხდება მუშახელის გადამზადება, როსტომაშვილი აღნიშნავს, რომ ამაზე მუშაობა ეტაპობრივად, ნელ-ნელა უნდა დაიწყოს.

რაც შეეხება იმას, ეს იქნება თუ არა ბიზნესისთვის ფინანსური წნეხი, როსტომაშვილი აცხადებს, რომ ეს ტვირთია, თუმცა, აუცილებელი.

– მანქანაში რომ კატალიზატორები არ აქვთ და აპროტესტებენ, რა ვქნათ, სხვა უნდა მოიწამლოს იმის გამო, რომ მათ კატალიზატორი არ აქვთ მანქანაში? წამალი უფრო ძვირი ღირს. დამსაქმებელს რომ მუშა ჩამოუვარდება და მთელი ცხოვრება მის დაზარალებულ ოჯახს პენსია უნდა უხადოს, უფრო ძვირი არ ჯდება? – აცხადებს როსტომაშვილი.

მისი ინფორმაციით, არ არის სწორი ის მიდგომა, რომ მუშახელის გადამზადება დამსაქმებლის ვალდებულება იყოს.

– საკუთარი მუშა რომ გადავამზადო, კიდევ შეიძლება, მაგრამ როდესაც ქუჩიდან მოდის ადამიანი და სამსახურს მთხოვს, მე რატომ უნდა გადავამზადო? მიიღოს განათლება, დატრენინგდეს და ისე მოვიდეს. თუ ექიმი ნასწავლი უნდა მივიდეს იქ, სადაც იწყებს მუშაობას და მძღოლს თვითონ უნდა ჰქონდეს მართვის მოწმობა აღებული, მუშა რატომ უნდა გადაამზადოს დეველოპერმა? – აცხადებს როსტომაშვილი.

როგორც „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“ დამტკიცებულ მთავრობის ტექნიკურ რეგლამენტშია აღნიშნული, სიმაღლეზე მომუშავეებს უნდა ჩაუტარდეთ სწავლება სიმაღლიდან ვარდნის დამცავი საშუალებების შესაბამის გამოყენებაზე.

გარდა ამისა, დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ტრენინგების პროგრამის შემუშავება და განხორციელება თითოეული დასაქმებულისათვის, რომელსაც, შესაძლოა, დაემუქროს ვარდნის საფრთხე.

# გაგარინის №10-ში მცხოვრები მოსახლეობის ქირის ხარჯებს მერია გადაიხდის

– კომუნიკაცია შედგა ადგილობრივ მოსახლეობასთან და მოხდა მათი გაყვანა. ყველა ხარჯს მერია თავის თავზე აიღებს. ეს არის ქირის ხარჯები.



ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, რითაც გაგარინის ქუჩაზე მდებარე სახლთან დაკავშირებით დასმულ კითხვას უპასუხა.

– რაც შეეხება კონკრეტულ სახლს გაგარინის №10-ში, აუცილებელია მისი დემონტაჟი, რადგან ადამიანების სიცოცხლისთვის საფრთხეს წარმოადგენს, ძალიან ბევრია ასეთი სახლები, შეიძლება ითქვას, რომ ყველა რაიონში არსებობს ავარიული სახლები.

რაც შეეხება ჩვენს მიდგომას, ერთი არის ის, რომ ჩვენ ვაწარმოებთ რეაბილიტაციას, გამაგრებით სამუშაოებს და მეორე არის ის, რომ ინვესტორებს აუცილებლად შევუწყობთ ხელს, რომ პირადად აწარმოონ მოლაპარაკებები ამ ადამიანებთან და, დათანხმების შემთხვევაში, სადაც თანხვედრაში მოვა ინვესტორის და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესი, მერიის მხრიდან იქნება თანადგომა, რომ ახალი საცხოვრებელი კორპუსები აშენდეს და დააკმაყოფილოს ის ადამიანები, რომლებიც კონკრეტულ ადგილას ცხოვრობენ, – განაცხადა კახა კალაძემ.

# ვინ არის ბლუმბერგის 10 ყველაზე მსხვილი მოთამაშე საქართველოდან

საქართველოს ეროვნული ბანკი ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ბრუნვის მონაცემებს აქვეყნებს.

სებ-ის ცნობით, 2017 წლის 2 ოქტომბერი-13 ნოემბრის პერიოდში სავაჭრო სისტემაში ყველაზე მსხვილი წილი შემდეგ ფინანსურ ინსტიტუტებზე მოდიოდა:

პროკრედიტ ბანკი – 14.4%
საქართველოს ბანკი – 13.9%
თიბისი ბანკი (რესპუბლიკა ბანკის დამატებით) – 11.9%
ტერა ბანკი – 9.1%
შპს მისო რიკო ექსპრესი – 7.6%
პაშა ბანკი საქართველო – 7.3%
ვითიბი ბანკი ჯორჯია – 6.8%
სილქ როუდ ბანკი – 5.4%
ლიბერთი ბანკი – 4.4%
ხალიკ ბანკი საქართველო – 3.8%.



## ზუგდიდში ავტოავარიას 7 წლის ბავშვი ემსხვერპლა



ზუგდიდში მომხდარ ავარიას 7 წლის მოზარდი ემსხვერპლა. როგორც „ნიუპოსტის“ კორესპონდენტი ადგილიდან იტყობინება, ბავშვი მაღაზიიდან სახლში ბრუნდებოდა, რა დროსაც მას მანქანა დაეჯახა. შემთხვევა მახარაძის ქუჩაზე მოხდა.ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანამდე გარდაიცვალა.

## კიევში ყაჩაღური თავდასხმის ბრალდებით საქართველოს 5 მოქალაქე დააკავეს



კიევის ეროვნული პოლიციის თანამშრომლებმა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს, რომლებმაც უკრაინის დედაქალაქში ყაჩაღური თავდასხმა განახორციელეს. როგორც კიევის ეროვნული პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელმა ანდრეი კრიშენკომ განაცხადა, დაკავებულია საქართველოს ხუთი მოქალაქე. მისი თქმით, აღნიშნული ჯგუფის წევრებმა ცოლქმარი დააყაჩაღეს და ჩანთა წაართვეს, რომელშიც დიდი ოდენობით ფული იდო. ისინი დანაშაულის ჩადენიდან ერთ საათში დააკავეს. დაკავებისას მათ ამოუღეს იარაღი. გამოძიება მუშაობს ამ ჯგუფის მიერ სხვა ანალოგიური დანაშაულის ჩადენის ფაქტების დადგენაზე.

## ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე სასამართლომ შემაკავებელი ორდერი გამოსცა




ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე სასამართლომ შემაკავებელი ორდერი გამოსცა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე განმცხადებლის მოთხოვნა სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა.

– სასამართლომ ქალის ყოფილი მეუღლე, მოძალადედ მიიჩნია და მსხვერპლთან, მათ შორის მის სამსახურთან 2 მეტრის რადიუსით მიახლოება აუკრძალა. მოძალადეს ასევე აეკრძალა მსხვერპლთან ნებისმიერი სახით ურთიერთობა, მათ შორის სატელეკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ ყოფილი ქმარი ფსიქოლოგიურად ძალადობდა ქალზე, რის გამოც ეს უკანასკნელი განიცდიდა მუდმივ შიშს. სასამართლომ 6 თვის ვადით გამოსცა დამცავი ორდერი, რომლითაც ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიება განისაზღვრა. დამცავი ორდერი ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმია. მოძალადის მიერ დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც. მიმდინარე წლის 7 ნოემბრის მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით 171-მა განმცხადებელმა მომართა; გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე სასამართლოსთვის მომართვიანობამ 16,3%-ით იმატა, – ნათქვამია სასამართლოს განცხადებაში.

# ციანიდის საქმე არ უნდა დაეხურათ

სახალხო დამცველის შეფასებით, ციანიდის საქმის სასამართლო განხილვების სრულად დახურვის აუცილებლობა არ არსებობდა, – ამის შესახებ ციანიდის საქმეზე ომბუდსმენის მონიტორინგის დასკვნაშია საუბარი. სახალხო დამცველი პროცესების მიმდინარეობას აფასებს და აღნიშნავს, რომ პროცესების დახურვამ მართლმსაჯულებისადმი საზოგადოებრივი ნდობის შექმნას ხელი შეუშალა.

– საქმის განმხილველმა სამივე მოსამართლემ სასამართლო პროცესი სრულად დახურა. სახალხო დამცველმა თავიდანვე განაცხადა, რომ ეს სასამართლო ხელისუფლებისა და ზოგადად, მართლმსაჯულებისადმი საზოგადოებრივი ნდობის შექმნას ხელს შეუშლიდა.

სასამართლოს მიმდინარეობამ დაადასტურა, რომ საქმეში გარკვეული კონფიდენციალური ინფორმაციის არსებობის მიუხედავად, რომელიც გაამართლებდა რამდენიმე სხდომის დახურულ დარბაზში ჩატარებას, საქმის სრულად დახურვის საჭიროება არ არსებობდა, – ნათქვამია დასკვნაში.

დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველს ხელი არ შეშლია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებაში და შესაძლებლობა მიეცა, დასწრებოდა დახურული სასამართლო პროცესის მიმდინარეობას.

ამასთან, ომბუდსმენი დოკუმენტში დეკანოზ გიორგი მამალაძესთან მიმართებაში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ პირობებზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ პროცესის მიმდინარეობისას ბრალდებულს არ ჰქონდა პრეტენზიები №9 პენიტენციური დაწესებულების მიმართ, ასევე მას გაეწია სათანადო სამედიცინო მომსახურება და მის მიმართ ადგილი არ ჰქონია არასათანადო მოპყრობას.

გიორგი მამალაძეს, მისი განცხადებით, შეზღუდული ჰქონდა სხვადასხვა, მათ შორის, გარესამყაროსთან კონტაქტისა და დაწესებულების მაღაზიით სარგებლობის უფლებები, – აღნიშნულია დასკვნაში.

როგორც უჩა ნანუაშვილმა აღნიშნა, იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომელიც სასამართლო პროცესებზე მოწმეების მხრიდან ჟღერდებოდა, პროკურატურის რეაგირება ცალმხრივი და შერჩევითი იყო.

– დასკვნაში საუბარია იმაზე, რომ სავარაუდო დანაშაულებები, რომელიც ასევე გამოვლინდა სასამართლოს მიმდინარეობის დროს, მასზე რეაგირებაც არ მომხდარა პროკურატურის მხრიდან, ან ეს რეაგირება იყო მხოლოდ შერჩევითი და ცალმხრივი, რაც კიდევ უფრო დიდი პრობლემაა. აქ არის საუბარი ზეწოლაზე, თუნდაც, ასევე სავარაუდო მძიმე დანაშაულის ჩადენაზე, როდესაც ამაზე მოწმეებმაც ისაუბრეს სასამართლო პროცესებზე და ამაზე არანაირი რეაგირება არ მომხდარა რეალურად. თუმცა გარკვეულ საკითხებზე, იგივე ფირცხალავასთან დაკავშირებით, პროკურატურამ გამოიყენა უფლებამოსილება და იმ შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით დაიწყო ცალკე გამოძიება, მაგრამ არ მოხდა სხვა მსგავს შემთხვევებზე, რაც ამ პროცესის ხარვეზია, – განაცხადა ნანუაშვილმა.





სახალხო დამცველი ასევე ციანიდის საქმეში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის, ანზორ ჩუბინიძის ფიგურირებაზეც მიუთითებს და აღნიშნავს, რომ მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებების გამო, ჩუბინიძე სასამართლოზე მოწმის სახით აუცილებლად უნდა დაკითხულიყო.

– სდსს-ს სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძე არ ყოფილა გამოძახებული მოწმედ სასამართლოში, მაშინ როდესაც ორი მოწმე ადასტურებდა იმას, რომ გიორგი მამალაძის ბარგში აღმოჩენილი ციანიდის შესახებ ანზორ ჩუბინიძემ იცოდა, ვიდრე დეკანოზის ბარგში აღმოაჩენდნენ მომწამვლელ ნივთიერებას. არის ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი, რომელიც სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, – დასძინა ნანუაშვილმა.

* * *

პროკურორი ჯარჯი წიკლაური სახალხო დამცველის ციანიდის საქმის მონიტორინგის დასკვნას არაკომპეტენტურს და უსაფუძვლოს უწოდებს. როგორც წიკლაურის განცხადებაშია აღნიშნული, სახალხო დამცველს საქმეზე თავიდანვე მიკერძოებული დამოკიდებულება ჰქონდა.

– მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მსურს გამოვეხმაურო სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგებს მსჯავრდებულ გიორგი მამალაძის საქმესთან დაკავშირებით. ცალსახაა, რომ აღნიშნული საქმისადმი სახალხო დამცველს თავიდანვე ჰქონდა მიკერძოებული დამოკიდებულება.

2017 წლის 15 თებერვლიდან 2 მარტამდე პერიოდში, იგი შეგნებულად ავრცელებდა ცრუ ინფორმაციას, რომ თითქოს გამოთხოვილი ჰქონდა საქმის მასალები მთავარი პროკურატურიდან და პასუხს ვერ იღებდა, ამავე დროს საჯაროდ აცხადებდა, რომ სახეზე იყო მნიშვნელოვანი დარღვევები, თუმცა მისი მომართვა სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ, საქართველოს პროკურატურაში მხოლოდ 2 მარტს შემოვიდა.

სახალხო დამცველის ღრმა არაკომპეტენტურობაზე მიუთითებს მისი უსაფუძვლო კრიტიკა, რომ ბრალდების მხარემ არ ჩაატარა რიგი საგამოძიებო მოქმედებები და არ მოიპოვა დამატებითი მტკიცებულებები, რასაც თურმე საჭიროდ მიიჩნევდნენ ადვოკატები. სახალხო დამცველს შევახსენებ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით გარანტირებულია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც გულისხმობს დაცვის მხარის სრულ თავისუფლებას, ბრალდების მხარისგან დამოუკიდებლად ჩაატაროს ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედება, ექსპერტიზა და გამოითხოვოს ინფორმაცია. გიორგი მამალაძის ინტერესებს იცავდა 6 ადვოკატი და არც ერთ მათგანს არასდროს მოუმართავს პროკურატურისთვის რომელიმე საგამოძიებო მოქმედების ან/და ექსპერტიზის ჩატარების შუამდგომლობით. აღვნიშნავ, რომ არავის, მათ შორის არც სახალხო დამცველს, არ აქვს უფლება, ჩაერიოს პროკურორის საქმიანობაში და მიუთითოს მას, თუ რომელი საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს და რომელი არა.

სახალხო დამცველი ასევე აცხადებს, რომ „იმ მასალებით, რაც დეკანოზ გიორგი მამალაძის გამამტყუნებელ განაჩენშია მიმოხილული, არ მტკიცდება, რომ რეალურად დანაშაულს ჰქონდა ადგილი.“ აშკარაა, რომ უჩა ნანუაშვილი სცილდება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებს და ღიად იჭრება სასამართლოს უფლებამოსილებაში.

– იმედს გამოვთქვამ, რომ მომავალში უჩა ნანუაშვილი ობიექტურად შეასრულებს კანონით მასზე დაკისრებულ მოთხოვნებს, სრულყოფილად მოისმენს ორივე მხარის პოზიციას, არ შეითავსებს სასამართლოს ფუნქციას და მისი არაკომპეტენტური შეფასებებით, უსაფუძვლო ეჭვს არ შეიტანს სასამართლოს გადაწყვეტილებაში, – ნათქვამია ჯარჯი წიკლაურის განცხადებაში.

* * *

ციანიდის საქმეზე მსჯავრდებულ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატები არ გამორიცხავენ, რომ სახალხო დამცველის დასკვნა აღნიშნულ საქმეზე მტკიცებულებად სააპელაციო სასამართლოს წარუდგინონ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა განუცხადა, ადვოკატები ამჟამად მსჯელობენ, რამდენად შეიძლება აღნიშნული დასკვნის სამართლებრივ სივრცეში მოქცევა. ამასთან, რამიშვილი დარწმუნებულია, რომ ასეთი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო გადაწყვეტილებას მათ სასარგებლოდ გამოიტანს.

– ფაქტია, რომ მტკიცების ტვირთი, ბრალდების ნაცვლად, ჩვენზე გადმოვიდა. სახალხო დამცველმა საკუთარი დასკვნით დაადასტურა ის გარემოებები, რასაც ემსახურებოდა სასამართლო პროცესის დახურვა. თვით მოსამართლემაც კი, იმდენად არასაკმარისი იყო მტკიცებულებები ანგარებისთვის, გააგრძელა რა დავალების შესრულება, ერთადერთი მოიფიქრა და გადააკვალიფიცირა შურისძიებაზე. ანგარების მოტივისთვის არ იყო საკმარისი ეს მტკიცებულებები და შურისძიებისთვის როგორ აღმოჩნდა, ჩემთვის გაუგებარია. მოსამართლეს ეს განაჩენი დამოუკიდებლად არ გამოუტანია. მართლმსაჯულება არ შედგა. ბესიკ ბუგიანიშვილს საკუთარი შინაგანი რწმენით რომ ეხელმძღვანელა, ის აუცილებლად გამამართლებელ გადაწყვეტილებას გამოიტანდა. მან უბრალოდ შეასრულა დაკვეთა და გააგრძელა ის პროცესი, რაც ჰქონდა დაწყებული პროკურატურას და გამოძიებას, – განაცხადა რამიშვილმა.

# ნანუაშვილი: „პოლიციელების მხრიდან, სავარაუდოდ, განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება უნდა განახლდეს“

სახალხო დამცველი პროკურატურისგან ითხოვს, რომ პოლიციელების მხრიდან, სავარაუდოდ, განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება განახლდეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახალხო დამცველის პრესსამსახურიდან აცნობეს, საუბარია მოქალაქე ი.ხ.-ს მიმართ პოლიციელების მხრიდან შესაძლო წამების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების შეწყვეტაზე, რაზეც განცხადება პროკურატურამ 10 ნოემბერს გაავრცელა.

სახალხო დამცველის განცხადებაში აღნიშნულია, რომ გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო სახალხო დამცველის წინადადება, რომლის თანახმად, არსებობდა ვარაუდი, რომ მოქალაქე ი.ხ.-ს 2016 წლის 16 თებერვალს, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში.

– ი.ხ.-მ მიიღო ფიზიკური დაზიანებები, რაც იმავე დღესვე, დეტალურად აისახა სამედიცინო დაწესებულებაში შედგენილ დოკუმენტაციაში. სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება არ დაიწყო დროულად და გაჭიანურდა ორი კვირით: სახალხო დამცველმა გამოძიების დაწყების წინადადებით საქართველოს მთავარ პროკურორს 2017 წლის 27 თებერვალს მიმართა, ხოლო, გამოძიება 2017 წლის 15 მარტს დაიწყო. გარდა ამისა, გაჭიანურება გამოვლინდა ადვოკატის განცხადების პროკურატურის სტრუქტურულ ერთეულებში გადამისამართებით. საქმის მასალების მიხედვით, ი.ხ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის განცხადება 2017 წლის 9 მარტს გაეგზავნა ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურორს, ხოლო 13 მარტს აღნიშნული განცხადება გაეგზავნა თბილისის პროკურატურას.

გამოძიებამ ვერ გაფანტა მაღალი ალბათობის ეჭვი იმის შესახებ, რომ ი.ხ.-მ განყოფილებაში მიიღო დაზიანება, რაც თავად გამოძიების მასალებით იკვეთება. კერძოდ, გამოძიების მასალებით იგი პოლიციის განყოფილებაში შევიდა სრულიად ჯანმრთელი და პოლიციის განყოფილებიდან გამოსული სახლში მივიდა ტაქსით, გამოიძახა სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გადაყვანილ იქნა კლინიკაში. ამ მოქმედებათა ქრონოლოგია დგინდება დროის გონივრული გამოთვლით – რამდენი დრო დასჭირდებოდა მის სახლამდე მისვლას მისამართის მიხედვით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებას და შემდგომ მის კლინიკაში გადაყვანას. გამოძიებას არ აქვს რაიმე მტკიცებულება, რომელიც ი.ხ.-ს პოლიციიდან გამოსვლის შემდეგ პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიუთითებდა მისი დაზიანების სხვა წყაროზე და რომლითაც თუნდაც ეჭვი გაჩნდებოდა, რომ შესაძლოა ი.ხ.-მ დაზიანება პოლიციის შენობიდან გამოსვლის შემდეგ მიიღო.

ი.ხ.-ს დაზიანებები დაფიქსირებულია მოქმედებათა სამედიცინო დოკუმენტებში, გამოკითხნენ პოლიციის თანამშრომლები, რომელთაც უშუალო შეხება ჰქონდათ მოქალაქესთან. ასევე, ამოღებულია პოლიციის განყოფილების შიდა და გარე პერიმეტრის მაკონტროლებელი სათვალთვალო კამერების ჩანაწერები. აღნიშნული ჩანაწერებიდან შეუძლებელია იმის დადგენა, აღენიშნებოდა თუ არა მოქალაქე ი.ხ.-ს ფიზიკური დაზიანებები პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის დატოვებისას. ხოლო ის გარემოება, რომ პოლიციის თანამშრომლებმა გამოკითხვისას უარყვეს ი.ხ.-ს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ვერ გამორიცხავს ეჭვს, რომ აღნიშნულს მართლაც ჰქონდა ადგილი.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე არ ჩატარდა დროული და ეფექტიანი გამოძიება და იგი შეწყდა უსაფუძვლოდ – გამოძიებამ ვერ გამორიცხა დანაშაულის ნიშნები, რომ პოლიციის შენობაში იქნა პირი ნაცემი და მიუხედავად ამისა,



მაინც შეწყვიტა საქმეზე წარმოება.

ზემოაღნიშნული ხარვეზებიდან გამომდინარე, აუცილებელია, პროკურატურამ განაახლოს და აწარმოოს სრულყოფილი გამოძიება ი.ხ.-ს მიმართ პოლიციელების მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, – ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

## პუჩდემონს კატალონიის დამოუკიდებლობა აღარ სურს



კატალონიელი სეპარატისტების ლიდერმა პუჩდემონმა მთელი მსოფლიო გააოცა. თავის ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მუდამ ესპანეთის ერთიანობა სურდა.

– დამოუკიდებლობა ესპანეთის შემადგენლობიდან გასვლას არ ნიშნავს, – თქვა პუჩდემონმა.

ამავე დროს მან აღნიშნა, რომ რაკი ზოგიერთი მადრიდელი ჩინოვნიკი შიშობს, რომ კატალონიის დამოუკიდებლობა ესპანეთის ერთიანობას საფრთხეს უქმნის, ის ამ იდეაზე უარს აცხადებს.

– ახლა მთავარია, კონფლიქტი განიმუხტოს. ჩვენც დამოუკიდებლობაზე უარს ვაცხადებთ, – ამბობს პუჩდემონი.

ექსპერტები პუჩდემონის ფერისცვალებას ესპანეთის პრემიერ რაჰოის უკანასკნელი განცხადებით ხსნიან. როგორც ცნობილია, რაჰოიმ პუჩდემონი რუსებთან კავშირში დაადანაშაულა და თან დაამატა, რომ ამისი საბუთები აქვს. ექსპერტების აზრით, პუჩდემონი და მისი თანამოაზრენი დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარებას არც აპირებდნენ, რადგან იცოდნენ, რომ კატალონიელთა 66% ამისი წინააღმდეგია. სეპარატისტები ესპანელ ძალოვნებთან შეტაკების პროვოცირებას ცდილობდნენ, რათა დაღვრილიყო სისხლი, შემდეგ კი სულ სხვა პროცესები განვითარებულიყო.

– პროვოკაცია ჩაიშალა. პუჩდემონმაც პოზიცია შეიცვალა. ახლა ის თავის გადარჩენაზე ფიქრობს, – ამბობს რაჰოი.

## რუსული ბიზნესი მზადაა, სირიაში შევიდეს



სირიის დიქტატორმა ასადმა გამოთქვა სურვილი, რომ მის ქვეყანაში რუსული ბიზნესი შევიდეს.

– სირიის ეკონომიკა სამოქალაქო ომის შედეგად განადგურებულია! ამას გარეშე ძალის დახმარების გარეშე ვერ მოვუვლით. ერთადერთი ქვეყანა, რომლის იმედიც გვაქვს, რუსეთია, – თქვა ასადმა.

მსხვილმა რუსულმა კომპანიებმა სირიაში ბიზნესის დასაწყებად მზადყოფნა გამოთქვეს. დეკემბრის დასაწყისში რუსული კომპანიების წარმომადგენლები სირიაში ჩავლენ, სადაც უშუალოდ ასადს და მთავრობის სხვა წევრებს შეხვდებიან.

# გაეროს გენასამბლეის კომიტეტმა ყირიმის ანექსია დაგმო



გაეროს გენასამბლეის კომიტეტმა ყირიმში ადამიანის უფლებების დარღვევა დაგმო. ამას გარდა დაიგმო რუსეთის მიერ ნახევარკუნძულის ოკუპაცია-ანექსია.

დოკუმენტს მხარი დაუჭირეს აშშ-მ, კანადამ, აგრეთვე ევროკავშირის ყველა სახელმწიფომ. კრემლის იმედები, რომ უნგრეთი ან რუმინეთი ამის წინააღმდეგ წავიდოდნენ, არ გამართლდა.

დოკუმენტის წინააღმდეგ ხმა მისცეს რუსეთმა, სომხეთმა, სირიამ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ და ა.შ. მიუხედავად ამისა, რუსეთი აშკარა უმცირესობაში აღმოჩნდა. კრემლშიც უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ:

– გაერო ნელ-ნელა რუსოფობების ტრიბუნად გადაიქცა, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა.



# „ჩრდილოეთ კორეის ხალხმა ტრამპს სიკვდილი მიუსაჯა“

ჩრდილოეთ კორეის ხალხმა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, – ამის შესახებ ნათქვამია ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფო გაზეთის სარედაქციო სტატიაში.

სტატიაში აღნიშნულია, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა შეურაცხყოფა მიაყენა ქვეყანას აზიის ტურნეს ფარგლებში სიტყვით გამოსვლისას. სტატიაში ნათქვამია, რომ ამის გამო დონალდ ტრამპი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

„მან ყველაზე საშინელი დანაშაული ჩაიდინა, რისი შეწყალებაც შეუძლებელია. მან ქვეყნის უზენაესი ხელმძღვანელობის ღირსება ბოროტად შელახა“, – ნათქვამია ჩრდილოეთ კორეის მმართველი პარტიის გაზეთ „როდონგ სინმუნის“ სარედაქციო სტატიაში.

# ზიმბაბვე: სამხედროებმა პრეზიდენტი მუგაბე დააპატიმრეს



ზიმბაბვეში სამხედროებმა 93 წლის პრეზიდენტი რობერტ მუგაბე დააპატიმრეს. დაკავებულია ფინანსთა მინისტრი ჩომბოც.

პრეზიდენტის დაკავებას წინ მუგაბეს მიერ ვიცე-პრეზიდენტის გადაყენება უძღოდა. მუგაბემ ის, არც მეტი, არც ნაკლები, ჯადოქრობაში დაადანაშაულა.

ვიცე-პრეზიდენტი არმიის მხარდაჭერით სარგებლობდა. სამხედროებმაც საპასუხო ქმედება განახორციელეს.

ზიმბაბველი სამხედროები აცხადებენ, რომ ქვეყანაში გადატრიალებას არ აქვს ადგილი. პირიქით, არმიას სურს, რომ კონსტიტუციური წესრიგი აღდგეს.

# ჰილარი კლინტონის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს აღძრავენ?!



აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო აცხადებს, რომ შესაძლოა ჰილარი კლინტონის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. საუბარია რუსულ კომპანია „როსატომთან“ გარიგებაზე.

ამერიკელი სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ ამ დროს კანონი დაირღვა. აშშ-ის გენერალური პროკურორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ჰილარი კლინტონმა, რომელსაც იმხანად სახელმწიფო მდივნის პოსტი ეკავა, კანონი შეგნებულად დაარღვია, რათა პირადი გამორჩენა მიეღო.

პრეზიდენტი ტრამპი და რესპუბლიკური პარტიის ცალკეული წარმომადგენლები ჰილარი კლინტონს კანონის დარღვევაში ადანაშაულებენ და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვენ.

# ევროკავშირი: უკრაინას მალე მივიღებთ!



ევროკავშირის ელჩმა კიევში მინგარელიმ განაცხადა, რომ დღეს ევროკავშირი მზად არ არის, უკრაინა თავის რიგებში მიიღოს, თუმცა ხვალ ეს უკვე რეალობა გახდება.

– კიევმა ევროინტეგრაციის მიმართულებით უზარმაზარ წარმატებებს მიაღწია! ხელმოწერილია შეთანხმება ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ. ამ ეტაპზე ეს მაქსიმუმია, – თქვა ელჩმა.

ამავე დროს, მინგარელიმ ხაზი გაუსვა, რომ უკრაინა ევროკავშირის წევრი მალე გახდება.

– ზუსტი დღე და საათი მხოლოდ უფალმა უწყის. მე შემიძლია მხოლოდ ის გითხრათ, რომ ეს უახლოესი 3-5 წლის ამბავია. არც იმას გამოვრიცხავ, რომ პროცესი დაჩქარდეს, – განაცხადა მინგარელიმ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● ქირავდება საკუთარი სახლის პირველი სართული, სამი ოთახი, სამზარეულო, აბაზანა, ინტერნეტი – დიღომში, დავით აღმაშენებლის ძეგლთან ახლოს, თამარ მეფის ქუჩა 3. ფასი 550 ლარი. ტელ: 592-599-777.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# საქართველოს თასის ფინალს გორი უმასპინძლებს



საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს ქუთაისის ტორპედო და საჩხერის ჩიხურა დაუპირისპირდება, გორში გაიმართება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ინიციატივის მიხედვით, უკვე ზედიზედ მესამე სეზონია, რაც თასის ფინალი თბილისს გარეთ, რეგიონში ტარდება – გორამდე მსგავსი პატივი ქუთაისსა და ზესტაფონს ერგოთ.

ფინალური მატჩი 2 დეკემბერს არის დაგეგმილი და 15:15-ზე დაიწყება. გეტყვით იმასაც, რომ ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტური 26 ნოემბერს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალში ჩიხურამ ლიგა 3-ის წარმომადგენელი ხონის იმერეთი 5:0 დაამარცხა, ხოლო ქუთაისის ტორპედომ პრინციპული მეტოქე, თბილისის დინამოს უგოლო 120 წუთის შემდეგ 11-მეტრიანების სერიაში სძლია.

# 19-წლამდელები საფრანგეთს დაუზავდნენ



საქართველოს 19-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მესამე მატჩი გამართა.

გიორგი ყიფიანის ფეხბურთელები ფრანგ თანატოლებს შეხვდნენ. პირველი ტაიმის შემდეგ ქართველები მინიმალური სხვაობით აგებდნენ, 64-ე წუთზე კი ხარაბაძემ ანგარიშის გათანაბრება შეძლო.

საქართველოს ნაკრებს ჯგუფურ ეტაპზე პირველი გამარჯვების მოპოვება შეეძლო, თუმცა 75-ე წუთზე დანიშნული პენალტი ნინუამ ვერ გამოიყენა.

გიორგი ყიფიანის გუნდმა საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობა 2 ქულით, მესამე ადგილზე დაასრულა და ელიტ რაუნდის საგზური ვერ მოიპოვა.

გიორგი ყიფიანმა ფრანგებთან ასეთი შემადგენლობა ათამაშა: გუგეშაშვილი, მალი, ასათიანი, ჯინჯოლავა, ანდრონიკაშვილი, ქოჩორაშვილი, ნინუა, ფურცელაძე, ხარაბაძე, დავითაშვილი (კვარაცხელია 61), ქავთარაძე (ზარიძე 90).

# საქართველოს ნაკრებს დუდა სანაძეც დააკლდება



რამდენიმე დღის წინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კალათბურთში ილიას ზუროსმა 24-კაციანი სია გამოაცხადა და მათგან 12 უნდა შეერჩია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის, რომელიც 24 და 27 ნოემბერს გაიმართება. შეგახსენებთ, ჩვენი ნაკრები გერმანიასა და სერბეთს ეთამაშება.

ზუროსს შესარჩევი კალათბურთელების სია „უმარტივდება" და ეს სულაც არ არის სასარგებლო ეროვნული გუნდისთვის.

როგორც ცნობილია, ის გუნდები, რომლებიც ევროლიგაზე თამაშობენ, ნაკრებში კალათბურთელების გამოშვებას არ აპირებენ. აქედან გამომდინარე, გერმანია-სერბეთთან ვერ ითამაშებენ თორნიკე შენგელია და გიორგი შერმადინი, რომლებიც ზუროსის სიაში იყვნენ. მათ დაემატათ დუდა სანაძეც, რომელმაც სერია ა-ს გასული ტურის მატჩში ტრავმა მიიღო. როგორც ირკვევა, დუდამ მუხლის ჯვარედინი მყესი გაიწყვიტა და მოედანს გაურკვეველი დროით ჩამოშორდა.

არავისთვის უცხო არ არის, რომ ევრობასკეტზე ჩვენი ნაკრები 7 კალათბურთელის იმედად იყო და ამ შვიდეულის 5 წევრი მომავალ მატჩებში არ იქნება. ჩვენი პრობლემა აქამდეც სათადარიგოთა სკამი იყო, ხოლო ამჯერად სწორედ იმ სკამის იმედად უნდა ვიყოთ, რომელსაც ევრობასკეტზე „ვერ ვენდობოდით".

ზაზა ფაჩულია, ვიქტორ სანიკიძე, თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი, ბექა ბურჯანაძე, დუდა სანაძე – ეს იმ კალათბურთელთა ჩამონათვალია, რომელთა გარეშეც მოგვიწევს ბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად. დაგვეთანხმებით, ჩვენი ნაკრებისთვის უდიდესი დანაკლისია.

# გია გეგუჩაძემ ხარისხი დაიწუნა

**საქართველო-ლიტვა 1:0**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

1:0 მატულევიჩიუსი (55სკ)

**საქართველო:** კუპატაძე, შულაია, მარგველაშვილი, ტაბიძე, ჩაბრაძე, მამუჩაშვილი, ზარანდია, კიტეიშვილი, ბერიძე (მოხევიშვილი 87), არაბიძე (მიქელთაძე 76), ჭანტურია (არველაძე 82)

**ლიტვა:** ადამონისი, შვეიკაუსკასი, შიმკუსი, რუზგისი, რომანოვსკი (სიკაიტისი 61), კლონიუნასი, ლასიცკასი, იანკაუსკასი, მატულევიჩიუსი, სადაუსკასი (ოლბერკისი 74), ბარაუსკასი

**გაძევება:** ლასიცკასი (53)




გია გეგუჩაძის გაწვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა, როგორც იქნა, მოიგო. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ეს ქართველთა დამსახურება უფროა, მით უმეტეს – მწვრთნელის.

თამაშის ხარისხი წინა მატჩების მსგავსად არადამაკმაყოფილებელი იყო. საქართველოს ნაკრები უპირატესობას ფლობდა, მაგრამ გააზრებული, კომბინაციური ფეხბურთისგან შორს იყო. ეს უპირატესობაც მეტოქემ დაგვითმო, რადგან წინ წასვლას საერთოდ არ აპირებდა. სხვა მეტოქეებთან შედარებით ლიტვის ნაკრები ჯგუფში ყველაზე სუსტია და ამას მოველოდით კიდეც. ეს გეგუჩაძემაც იცოდა, რომელმაც ფინეთის მატჩის შემდეგ გვითხრა კიდეც – ლიტვა, ფინეთის მსგავსად, ათლეტურ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ უფრო დაცვითს და წინ წასვლას ერიდებიანო.

ეს კი დაინახა ბატონმა გეგუჩაძემ, მაგრამ როგორ უნდა მოგვერღვია გაუვალი დაცვა – ვერა. გეგუჩაძის გუნდს ამაში თავად ლიტველები დაეხმარნენ. ჯერ იყო და ლასიცკასმა სრულიად უწყინარ სიტუაციაში მსაჯს მოედნიდან თავი გააგდებინა, აქედან 2 წუთში კი მატულევიჩუსმა საკუთარ კარში გაიტანა.

არადა, თითქმის ტაიმი ლიტვა 10 კაცით იყო მოედანზე, სახიფათო მომენტები კი თითზე ჩამოსათვლელი. ვიტყვით იმასაც, რომ ლიტვა ორჯერ მსაჯმაც გადაარჩინა, როდესაც ქართველ ფეხბურთელებზე თამაშგარე მდგომარეობა შეცდომით დააფიქსირეს, მაგრამ მთლიანობაში ეს სურათს ვერ შეცვლის.

**გია გეგუჩაძე:**

– ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ ჩვენთვის ეს გამარჯვება და მთავარი იყო ის, რომ 3 ქულა მოვიპოვეთ. შეიძლება თამაშის ხარისხი არ იყო მთლად კარგი, თუმცა ძალიან ხისტ და დისციპლინირებულ გუნდს ვეთამაშეთ. ძნელია ასეთი გუნდის დამარცხება. მეტოქე 90 წუთი დაცვაში იყო ჩამდგარი. უპირატესობას ვფლობდით და ფაქტია, დამსახურებულად მოვიგეთ. რაც შეეხება ხარისხს, საამისოდ ბევრი მიზეზია, პირველ რიგში, საკადრო პრობლემები, რომლებიც ჩვენ გაგვაჩნია. სამწუხაროდ, უძლიერესი შემადგენლობით ვერასოდეს ვერ ვითამაშეთ. ლიტვასთანაც ნახეთ ალბათ ნახევარმცველები, პრაქტიკულად 2-3 ფეხბურთელი გვყავს, რაც გუნდის ღერძია და ნაკლებად დაბალანსებული. ჩვენ ნაბიჯი გადავდგით და შემტევი შემადგენლობა ვათამაშეთ, პრინციპში, ამან გაამართლა და შედეგი სახეზეა.

# 20-წლამდელებმა დიდი ანგარიშით მოიგეს




საქართველოს 20-წლამდე ნაკრებმა პირველი საერთაშორისო მატჩი ჩაატარა. ვასილ მაისურაძის გუნდმა დავით პეტრიაშვილის სახელობის სტადიონზე 3:0 დაამარცხა ალბანეთის 21-წლამდე ნაკრები.

შეხვედრა თავიდანვე ქართველთა უპირატესობით დაიწყო და მე-10 წუთზე ნუგზარ სპანდერაშვილმა თავურით დააწინაურა თავისი გუნდი. ტაიმის მიწურულს კი თავი მეკარემაც გამოიჩინა – ნიკა ქავთარაძემ პენალტი მოიგერია.

შესვენების შემდეგ ქართველთა უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა და ეს კიდევ ორ გატანილ გოლში აისახა – ჯერ ირაკლი ბუღრიძემ დაუფასა იდეალური პასი გაბრიელ საღრიშვილს, მერე კი ალბანელმა რეი ნურიმ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

საქართველოს 20-წლამდე ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო:

ქავთარაძე, კიკალიშვილი (კერელეიშვილი 80), ცერცვაძე, ყურშავიშვილი (ბულუხაძე 80), გაბიტაშვილი, ძებნიაური (წულეისკირი 74), ბუღრიძე (შეწირული 80), სამურკასოვი, ფოჩხუა, კვანტალიანი (საღრიშვილი 58), სპანდერაშვილი (ბაკურაძე 74).

# შენგელიას ბასკონიამ რეალი 30 ქულით გაანადგურა



ესპანურმა ბასკონიამ მადრიდის რეალს მწარე მარცხი აგემა. ბასკურმა კლუბმა მადრიდელები 105:75 დაამარცხეს, ხოლო 30-ქულიანი სხვაობა მაქსიმუმია, რაც „სამეფო კლუბს" ევროლიგის მატჩებში ოდესმე წაუგია.

ბასკური კლუბის ქართველი კაპიტანი სასტარტო ხუთეულში ამჯერადაც არ ყოფილა. თორნიკემ მოედანზე 18 წუთი გაატარა და 7 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. შენგელიამ 5-დან ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, 3 სამქულიანი ააცილა.

2 მოგებითა და 5 მარცხით 16-გუნდიან ევროლიგაში ბასკონია მე-14 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს კი კაუნასში, ჟალგირისთან გამართავს.

სწორედ ჟალგირისთან გადაიტანა მძიმე ბრძოლა გიორგი შერმადინის უნიკახამ და დასანანი მარცხი იწვნია. მალაგელებმა შეხვედრა დამატებით დროში 83:85 წააგეს.

ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში იყო, თუმცა, მოედანზე მხოლოდ 13 წუთი გაატარა და 3 ქულა და 1 მოხსნა მიითვალა. შერმადინმა 2-დან 1 ორქულიანი და 6-დან 1 საჯარიმო გამოიყენა.

უნიკახას 7 ტურში 4 მარცხი მოუგროვდა და ცხრილში მე-11 ადგილამდე დაეშვა, შემდეგ ტურში მალაგელები მადრიდის რეალს ესტუმრებიან.

## შედეგები

**14 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**მჩ-2018. შესარჩევი ეტაპი**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ირლანდია-დანია | 1:5 |
| ბურკინა ფასი-კაპო ვერდე | 4:0 |
| სენეგალი-ს.აფრიკა | 2:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| არგენტინა-ნიგერია | 2:4 |
| რუსეთი-ესპანეთი | 3:3 |
| გერმანია-საფრანგეთი | 2:2 |
| ინგლისი-ბრაზილია | 0:0 |
| კორეა-სერბეთი | 1:1 |
| ჩინეთი-კოლუმბია | 0:4 |
| ემირატები-უზბეკეთი | 1:0 |
| გაბონი-ბოსტვანა | 0:0 |
| სლოვაკეთი-ნორვეგია | 1:0 |
| რუმინეთი-ჰოლანდია | 0:3 |
| უნგრეთი-კოსტა რიკა | 1:0 |
| ავსტრია-ურუგვაი | 2:1 |
| ბელგია-იაპონია | 1:0 |
| უელსი-პანამა | 1:1 |
| პორტუგალია-აშშ | 1:1 |

**ეჩ-2019. შესარჩევი ეტაპი (21)**

| | |
|---|---|
| სომხეთი-სერბეთი | 0:1 |
| მაკედონია-ავსტრია | 0:4 |
| აზერბაიჯანი-კოსოვო | 0:0 |
| კვიპროსი-უნგრეთი | 0:2 |
| თურქეთი-ბელგია | 1:2 |
| საქართველო-ლიტვა | 1:0 |
| მოლდოვა-ჩეხეთი | 1:3 |
| ესტონეთი-ისლანდია | 2:3 |
| ბულგარეთი-ჩერნოგორია | 3:1 |
| პოლონეთი-დანია | 3:1 |
| ისრაელი-გერმანია | 2:5 |
| პორტუგალია-შვეიცარია | 2:1 |
| ნორვეგია-ირლანდია | 2:1 |
| უელსი-რუმინეთი | 0:0 |
| შოტლანდია-უკრაინა | 0:2 |
| ესპანეთი-სლოვაკეთი | 5:1 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# იუვენტუსს ლილიამ ტიურამის შვილის შეძენა სურს



ტურინის იუვენტუსის სპორტული დირექტორი ფაბიო პარატიჩი გუნდის გასაძლიერებლად საჭირო ფეხბურთელებს საფრანგეთის ჩემპიონატში აკვირდება.

მაგალითად, პსჟ-ს 26 წლის მცველს ტომას მენიეს, რომელიც დანი ალვეშის (ალვეში იუვენტუსიდან მივიდა ფრანგულ კლუბში) გუნდში მისვლის შემდეგ სათადარიგოთა სკამის ხშირი სტუმარი გახდა.

მცველებზე გავაგრძელებთ და გეტყვით, რომ ხელმძღვანელობა 22 წლის მუჰტარ დიაკაბრის და 20 წლის ისა დიოპის ტრანსფერებს აქტიურად განიხილავს.

საინტერესოა ისიც, რომ ბიანკონერიმ შესაძლოა ლილიან ტურამის შვილი – ჰეფრენ ტიურამი გაიფორმოს. მამის არ იყოს და შვილიც ამპლუით უკანახაზელია.

ნანტისთვის პარატიჩის 7 მილიონი შეუთავაზებია აბდულაი დაბოს სანაცვლოდ, რომელიც სულ რაღაც 16 წლის არის და პოზიციით ნახევარმცველია. თუმცა, ფრანგებმა იტალიელების პირველი წინადადება იუარეს. მოსალოდნელია, რომ იუვე გაზრდის შეთავაზებას და ეცდება ფეხბურთელის მალე გაფორმებას.

და ბოლოს: ახალგაზრდა არა, მაგრამ ერთ-ერთი გამორჩეული ანხელ დი მარიაა, რომელსაც დიდი შანსია, უკვე იანვარშივე შეელიოს პსჟ. მისთვის იუვეს გარდა ინტერი და ბარსელონაც იბრძოლებენ.

# ხამეს როდრიგესი: სალსას ცეკვავს, გერმანულს სწავლობს და ტიტულს უმიზნებს



ხამეს როდრიგესი უკვე 4 თვეა რაც მიუნხენშია და ბოლო კვირებში მან კარგი ფორმა აკრიფა. კოლუმბიელი კარგ თამაშს აჩვენებს. კერძოდ, ლაიფციგთან მატჩში მან გოლი გაიტანა, ხოლო დორტმუნდთან დაპირისპირებისას თავის ანგარიშზე 2 საგოლე გადაცემა ჩაიწერა.

ჩანს, რომ თავის ახალ ქალაქში ნახევარმცველი უფროდაუფრო კომფორტულად გრძნობს თავს და არც ცივი კლიმატი აშინებს.

ხამესმა ამ კვირაში ამხანაგურ მატჩში მონაწილეობაზე უარი განაცხადა ნაკრების რიგებში, რათა ადრე დაბრუნებოდა კლუბს.

მინდორზე საქმეები კარგად მისდის, მაგრამ მის გარეთ რა ხდება? ამაზე და ბევრ სხვაზე ხამეს როდრიგესი ინტერვიუში ყვება.

***– როგორ გრძნობ თავს გერმანიაში? რა მოგწონს ყველაზე მეტად შენს ახალ ქალაქში და კლუბში?***

– ჩემთვის ეს ახალი ცხოვრებაა და მისით კმაყოფილი ვარ. აქ უფრო სიმყუდროვეა, ვიდრე სხვა ქვეყნებში, სადაც თამაში მომიწია. შეგიძლია ქუჩაში მშვიდად გაისეირნო. ბაიერნი დიდებული კლუბია, რომელიც ყოველთვის დიდი წარმატებებისაკენ მიისწრაფვის.

***– ბავარიელმა გულშემატკივრებმა უკვე მოასწრეს შენი გაცნობა მოედანზე. თავისუფალ დროს რითი ხარ დაკავებული?***

– მშვიდი ადამიანი ვარ და მიყვარს სახლში დროის გატარება. სერიალების ყურება მიყვარს. განსაკუთრებით ახლა, როდესაც ქუჩაში ასეთი სიცივეა. ამჯერად 2 სერიალს ვუყურებ: „ვიკინგებს“ და „ამერიკულ საშინელებათა ისტორიებს“. რა თქმა უნდა, ასევე მიყვარს პლეი სტეიშენის თამაში. ცხადია, თუ დრო მაქვს ამისი.

***– გქონდა იმის შესაძლებლობა, რომ გეთამაშა შენს თანაგუნდელებთან ერთად?***

– სამწუხაროდ, ჯერ არა, მაგრამ ჩვენ აუცილებლად უნდა მოვაწყოთ ამის ორგანიზება.

***– რაიმე განსაკუთრებული რიტუალი თუ გაქვს მოედანზე გამოსვლის წინ?***

– არა, ამის მსგავსი არაფერი. არ მწამს ამისი. მაგრამ მე ღმერთის მწამს. ბავშვობიდან ღმერთი მეტად მნიშვნელოვანია ჩემთვის და მას მადლობას ვუხდი ყოველ ჯერზე, როდესაც გოლი გამაქვს.

***– შენს სოციალურ მედია ქსელებში ხშირად გხედავთ მოცეკვავეს. რომელია შენი საყვარელი მუსიკა?***

– ყველაფერი მომწონს, მაგრამ განსაკუთრებით სალსა და რეგეტონი. კოლუმბიაში ჩვენ მუდამ სიხარულის განცდით ვართ და დიდი სიამოვნებით ვცეკვავთ. ამისგან თავს კარგად ვგრძნობთ.

***– შენ უკვე სწავლობ გერმანულს? რისი თქმა შეგიძლია უკვე?***

– შემიძლია ვთქვა მადლობა, მისალმება, დამშვიდობება, მარტივი სიტყვები, მაგრამ ნამდვილად რთული ენაა. თუმცა, თანდათანობით უფრო თავდაჯერებული ვხდები.

***– გერმანიაში უკვე 4 თვეა რაც თამაშობ. როგორია შენი პირველი შთაბეჭდილებები ბუნდესლიგიდან?***

– აქ დიდ ყურადღებას ფიზიკას და ტაქტიკას აქცევენ. მაგრამ მე ყოველთვის ვიძახი, რომ შენ თუ გაქვს ტექნიკა და კარგად თამაშს შეძლებ, მაშინ ფეხბურთი მთელ მსოფლიოში ერთნაირია.

***– რას უნდა მოელოდნენ გულშემატკივრები ხამესისგან? რა მიზნები გაქვს ამ სეზონზე?***

– ვიმედოვნებ, რომ შევძლებ ტიტულის მოპოვებას და თავს რაც შეიძლება უკეთ წარმოვაჩენ. ძალ-ღონეს არ დავიშურებ ბოლო წუთამდე. მსურს, ტიტულები ამ კლუბთან ერთად მოვიპოვო.

# გრიზმანი ბარსელონაში მიდის



ფრანგული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მადრიდის ატლეტიკოს ლიდერმა, ანტუან გრიზმანმა ბარსელონაში გადასვლაზე თანხმობა განაცხადა.

ფრანგული მედიის ცნობით, ბარსელონასა და გრიზმანს შორის მოლაპარაკებები ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და ის დასკვნით ფაზაშია შესული.

გრიზმანს ატლეტიკოსთან კონტრაქტი 2022 წლამდე აკავშირებს, მაგრამ ხელშეკრულების თანახმად, 2018 წლის ზაფხულში მისი გამოსასყიდი თანხა 100 მილიონი ევრო იქნება. გავრცელებული ინფორმაციით, ბარსელონა მზადაა ეს თანხა გადაიხადოს.

ფრანგული მედია იმასაც ირწმუნება, რომ ბარსა ფორვარდს პირად კონტრაქტზე შეუთანხმდა – გრიზმანი 5 წლით იქნება ბარსელონაში და ყოველწლიურ გასამრჯელოდ 20 მილიონ ევროს მიიღებს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ნანა აკობიძე: „მეწიგნე მიშკამ ჩამოიხრჩო თავი“

ჟურნალისტმა ნანა აკობიძემ დინამოს სტადიონთან, წიგნების ბაზრობაზე მეწიგნე მიშკას თავის ჩამოხრჩობის ამბავი სოციალურ ქსელში დეტალურად აღწერა:



– მეწიგნე მიშკამ ჩამოიხრჩო თავი.

დინამოს სტადიონთან, წიგნების ბაზრობაზე, დახლებს შორის.

იკივლეს ქალებმა, თავი გადააქნიეს კაცებმა...

უხერხულად ავიტუზეთ სასკოლო წიგნების საყიდლად მისულები და ამ ამბავს შესწრებულები: ზოგს წიგნი შეგვრჩა ხელში, ზოგს გადასახდელი ფული...

ხანძარი რომ იყო, წიგნები დაეწვაო, ვალი ჰქონდაო, ჩვენსავითო, მეპროცენტემ მიაკითხაო და მისი წასვლის შემდეგ დახლების სიღრმეში ჩუმად შევიდა და თავი ჩამოიხრჩოო 45 წლამდე კაცმა, მეწიგნე მიშკამ...

ტიროდნენ ბაზრობის ქალები, უხმოდ იდგნენ კაცები და რაღაცნაირად სიჩუმე ჩამოვარდა უცებ: იმ სიჩუმეში, იმ ერთ წუთში თავის თავს სტიროდა ყველა, თავის ვალებს, თავის პრობლემებს, თავის ხვალეს...

# დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რესტავრაციის სამუშაოები შეჩერებულია



ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის სარესტავრაციო სამუშაოები შეჩერებულია. ეს ინფორმაცია გიორგი ჩუბინიძემ გაავრცელა:

– ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რესტავრაციის სამუშაოები შეჩერებულია! რაც რესტავრაცია დაიწყო, ფინანსური პრობლემების მომიზეზებით, სამუშაოები პერიოდულად ჩერდებოდა. როგორც გავიგე, ახლაც შეჩერებულია. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ჯერ გადახურული არაა, იქ კი უკვე წვიმები დაიწყო და არც ამინდის პროგნოზია დამაიმედებელი. მაინტერესებს, ვინ აიღებს პასუხისმგებლობას, რომ გადაუხურავი, ჯერ ისედაც დაზიანებული შენობა არ დაინგრევა. ან სად წავიდა ფინანსები, რომელზეც თქვეს, რომ გამოყოფილია მუზეუმის რესტავრაციისათვის?

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 16 ნოემბერი



**ვერძი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერთდროულად ბევრ საქმეს ნუ შეეჭიდებით. **კურო** – საქმიანი შეხვედრებისათვის შესაფერისი დრო არ არის. ერიდეთ ურთიერთობას ახალგაცნობილ ადამიანებთან. **ტყუპები** – მიზნის მიღწევა იოლი არ იქნება. რისკი გაუმართლებელია. **კირჩხიბი** – დღეს მხოლოდ დაისვენეთ, ერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევებს. საღამოს სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები თქვენთვის უსიამოვნო შედეგს გამოიღებს. ეცადეთ, მხოლოდ წვრილმანი საქმით დაკავდეთ. **ქალწული** – საქმიანი კონტაქტები სარგებლობას მოგიტანთ, თუმცა გმართებთ დიდი დაფიქრება და სიტუაციის ანალიზი. **სასწორი** – დასკვნების გაკეთებისას არ აჩქარდეთ. შესაძლოა ბევრი რამ მალე შეიცვალოს. **ღრიანკალი** – ნუ იქნებით ცალმხრივი. ისწავლეთ განსხვავებული აზრის მოსმენა. **მშვილდოსანი** – აქტიურად დაისვენეთ. ფინანსებს არ უჩივით. სიყვარული გეწვევათ. **თხის რქა** – პრობლემის მოგვარებას მხოლოდ შეუპოვრობით შეძლებთ. მიზანდასახულობა და პრინციპულობა დღის დევიზია. **მერწყული** – საქმიანი შეხვედრებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. ბედი გწყალობთ. **თევზები** – პირადი ცხოვრების მოსაწყობად სხვა პერიოდი შეარჩიეთ. ასევე არ ღირს ახალი საქმის დაწყება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კავშირგაბმულობის დაწესებულება; 2. პორტატული საფრენი აპარატი; 3. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 4. მემკვიდრეობითობის მატარებელი ერთეული ცოცხალ ორგანიზმში; 5. კურორტი რაჭაში; 6. თავხედური გულახდილობა; 9. მონასტერი ბოლნისის რაიონში; 10. ფრენის სიმაღლის გასაზომი ხელსაწყო; 11. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 14. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 16. კომბინაცია პოკერში; 18. სამწახნაგოვანი პირის მქონე იტალიური ხანჯალი; 20. ბუნებაში საორიენტაციო ხელსაწყო; 23. ესპანეთის ფეხბურთელთა ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 24. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 25. ველოდრომი ანუ...; 26. თეატრის მსახიობთა კოლექტივი.

**თარაზულად:** 7. დაბეგვილი და შემწვარი ძროხის ხორცის ნაჭერი; 8. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 12. ატმოსფერული ნალექი; 13. იაპონელი ნოდელიორი; 15. ოპერა „ფალსტაფის“ კომპოზიტორი; 17. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 19. მგალობელი ჩიტი; 21. ფრანგი ფილოსოფოსი; 22. გარითმული აფორიზმი; 27. ვულკანი ტირენიის ზღვაში; 28. გერმანული ავტომობილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბუნდესვერი; 2. ტეხასი; 3. მადიარი; 4. რაბლე; 5. მადნეული; 6. გორდი; 7. კახიანი; 9. სატივე; 13. იჯარა; 17. სუვა; 18. ოყა.

**თარაზულად**: 1. ბალასტი; 2. მწყერი; 8. კამორა; 10. „სალხინო“; 11. „დელტა“; 12. ფერმერი; 14. „ქვევრი“; 15. ბრინჯაო; 16. ლისტი; 19. „ცერული“; 20. ვისკოზა; 21. მაჭარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. კაზმი; 2. „ნივეა“; 3. „სუფრული“; 4. ღალა; 5. ორლი; 6. ალფონსი; 9. დისიმულაცია; 10. პროვიზორი; 11. ბრუქსიზმი; 14. ზევსი; 16. ბეილი; 18. კეპლერი; 20. ლაგვანი; 23. გუნო; 24. სეიმი; 25. ცერნი; 26. „ჟიგა“.

**თარაზულად**: 7. „ლუფტჰანზა“; 8. კვირინალე; 12. ბუერი; 13. კრონა; 15. იტილი; 17. ვანკუვერი; 19. ნუარე; 21. ოპერა; 22. ომეგა; 27. პრევენცია; 28. დრაგომანი.

# მასტერი: „თქვენ ხართ ბანძი კაცები!“



მომღერალი გიორგი პავლიაშვილი, იგივე მასტერი ქართველ მამაკაცებს ბანძს უწოდებს:

– „წუთიერი“ სიამოვნების გამო ტიპებს რომ ნაშები უორსულდებათ და მერე ტვინს ...ავენ წუწუნით და ტირილით, უპასუხისმგებლობაა! კაცის მხრიდან არის მაგარი უპასუხისმგებლობა ეს საქციელი. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ კაცს ბევრად მეტი პასუხისმგებლობა აქვს ამ დროს, ძალიან მარტივია თავი აარიდო მსგავს „პრობლემებს“ და უბრალოდ იმიტომ, რომ „შეჩემა არ მისწორდება ხო იცი ისე“, აი, ამის გამო რომ მერე აბორტებს აკეთებინებთ გოგოებს – თქვენ ხართ ბანძი კაცები!

# მიშა მდინარაძე: „არაფერი აღარ მაღელვებს კულტურის სივრცეში“



აცხადებს კომპოზიტორი მიშა მდინარაძე და გაპრიალებული, და არც იმას მალავს, რომ კასტრირებული ხელოვანების ცქერა მისთვის ამაზრზენი გახდა:

– არაფერი აღარ მაღელვებს კულტურის სივრცეში, ყველაფერი ისეთი მორგებული და მოქნილია საზოგადოებისა და მეინსტრიმის ქვეშ, რომ ამაზრზენიც კი გახდა ამ სტრუქტურირებული, გაპრიალებული და კასტრირებული ხელოვნების ცქერა, სმენა თუ მის მიმართ რაიმე პოზიციის გამოხატვა! ხელოვნებას იმაზე უფრო დიდი მტერი, ვიდრე კულტურაა, არასოდეს ჰყოლია, მით უმეტეს, კულტურა, რომელიც უმრავლესობის ვნებებსა და ფობიებს ემსახურება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# მსოფლიოს მეცნიერებმა საქართველო უძველესი მეღვინეობის ქვეყნად აღიარეს

**ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალმა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული სამეცნიერო ჟურნალია, გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „საქართველოს ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან“. ქართველებთან ერთად, სტატიის ავტორები არიან მეცნიერები ამერიკიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, კანადიდან, დანიიდან და ისრაელიდან.**

სტატიაში საუბარია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ახლად ჩატარებული მულტიდისციპლინარული კვლევის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ აქ მოსახლე ტომები ღვინოს ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით 6000-5800 წლებში, ე.ი. 8000 წლის წინ აყენებდნენ.

2014 წლიდან, „ასოციაცია ქართული ღვინო“-ს ინიციატივით და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ღვინის ეროვნული სააგენტო ხელმძღვანელობს საერთაშორისო მულტიდისციპლინარულ პროექტს „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა“. მასში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობენ პენსილვანიის, მონპელიეს, მილანის, კოპენჰაგენის, ტორონტოს უნივერსიტეტების, ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტისა და მონპელიეს აგრარული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის თანამშრომლები. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით ლორთქიფანიძე, ხოლო კოორდინატორი ღვინის ეროვნული სააგენტოს მეცნიერი, დოქტორი დავით მაღრაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ნეოლითური ხანის ძეგლების კვლევა XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. სხვადასხვა




დროს მას ხელმძღვანელობდნენ ალექსანდრე ჯავახიშვილი, ოთარ ჯაფარიძე და თამაზ კიღურაძე. ამჟამად გათხრებს ხელმძღვანელობს არქეოლოგი მინდია ჯალაბაძე. უკანასკნელ წლებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მხარდამჭერები არიან ღვინის ეროვნული სააგენტო, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და ტორონტოს უნივერსიტეტი.

პროექტის ფარგლებში პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორის პატრიკ მაკგოვერნის ხელმძღვანელობით ჩატარებული ბიომოლეკულარული კვლევების შედეგად მარნეულის რაიონში მდებარე ნეოლითის პერიოდის „გადაჭრილი გორის“ და „შულავერის გორის“ არქეოლოგიურ ძეგლზე უკანასკნელი პერიოდის გათხრების დროს აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის კედლებზე ღვინისათვის დამახასიათებელი ორგანული მჟავების – ღვინის მჟავის, ვაშლმჟავის, ქარვამჟავის და ლიმონმჟავის არსებობა დადასტურდა, რაც ვიტის ვინიფერას ვაზის ჯიშისგან დამზადებული ღვინის მარკერია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერების ელისო ყვავაძისა და ნანა რუსიშვილის მიერ მუზეუმში ჩატარებულმა პალეობოტანიკურმა კვლევებმა ცხადყო, რომ ადრეული ნეოლითის ხანაში ამ რეგიონში ვაზის კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული. მილანის უნივერსიტეტის მკვლევრებმა ოსვალდო ფაილას ხელმძღვანელობით აღადგინეს ძველი წელთაღრიცხვის VI ათასწლეულის კლიმატი და დაადასტურეს, რომ ქვემო ქართლში 8000 წლის წინ ვაზის კულტივირებისთვის შესაბამისი პირობები იყო. ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტში ელიზაბეტა ბოარეტოს ხელმძღვანელობით განხორციელებული ლაბორატორიული კვლევების შედეგად ცე14-ის დათარიღების მეთოდით ნიმუშების ასაკი განისაზღვრა ძველი წელთაღრიცხვის 6000-5800 წლებით, რაც 600 წლით უფრო ძველია, ვიდრე აქამდე უძველესად მიჩნეული ღვინის კვალი ზაგროსის მთიანეთიდან.

მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებამ აღიარა, რომ მეღვინეობის უძველესი კვალი სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი, საიდანაც ის შემდეგ გავრცელდა მთელს მსოფლიოში და უდიდესი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის, ხალხთა კულტურის, ბიოლოგიის, მედიცინისა და, ზოგადად, ცივილიზაციების ჩამოყალიბებაზე.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ელგუჯა პაპასქუას მოგონება

### საფიცარო ძმაო, ელგუჯა!

გვიან ღამით ტელეფონის ზარიდან – ელგუჯა აღარ არის – წამიერად გავიფიქრე... ელგუჯა აქ არ არის, რუსეთში წავიდა-თქო. თურმე ელგუჯა აღარ გვყავს – იმ მომენტში ცა დამემხო თავზე, თავზარი დამეცა, სუნთქვა შემეკრა, სხეულის ნაწილი მომწყდა. დავიყვირე, დედა არ მინდა, არ მაჩვენოთ-მეთქი, რატომ არის ცოცხალი-თქო, ვნანობ ახლა...

გუჯა, ცოცხალ-მკვდარი დაგვიტოვე 85 წლის დედა. ვაი, ჩვენს დედას, რომლის გულს ცეცხლი წაუკიდე ჩაუქრობელი. წვიმს ჩემსა და ყველას გულში. ყველაზე მწარედ დედის გულში. დედის უზომო ცრემლებით სველდება შენი პერანგი, რომელსაც ხელით დაატარებს და შენი სურათებიც. გაუსაძლისი იქნება მისთვის დარჩენილი წლები.

თამამად ვიტყვი, ძმაო – „ვაი, რა ბოძი წაიქცა“ – ამ სტრიქონის განცდაა ჩვენს ოჯახში, სანათესავოში, საახლობლოში. უკანასკნელი სიმწრის სიტყვები მეუღლეს და უმცროს შვილს ტელეფონით გააგონე – „ჰაერი არ მყოფნის, ველარ ვსუნთქავ, ვკვდები მგონი...“. რა მწარე ხარ, გუჯა...

შენ იყავი ახოვანი, მოხდენილი, ღიმილიანი მამაკაცი, უხდებოდი ყველას და ყველაფერს. შესანიშნავი ძმა, მეუღლე, მამა, ბიძა, ბაბუა, მეგობარი. ყველას ჭირის მოზიარე და თანამდგომი. სტუმართმოყვარე – ქართული ტრადიციების მიმდევარი. საოცრად შრომისმოყვარე. ჭირსა და ლხინში მხარში ამომდგომი ნათესავის, მეგობრის თუ მოყვრის. ძმაო ელგუჯა, იყავი სამაგალითო მეოჯახე, შეუდარებელი მასპინძელი და სასურველი სტუმარი. ცხოვრებაში გამორჩეულს, უსაზღვროდ გიყვარდა ოჯახი, ყველა სისხლით ახლობელი და მეგობარი. მეგობრებს დამშვიდობების სუფრა მოუწყვე, თურმე სამუდამო გამომშვიდობების სუფრა მოგიწყვია. ყველას იმედი იყავი, ჩემი განსაკუთრებით.

მიუხედავად აფხაზეთის ტკივილისა, ცხოვრობდი ბედნიერად. ორი შვილის ბედნიერებას მოესწარი და სამაგალითო ქორწილიც გადაუხადე. 5 შვილიშვილის ბაბუაც გახდი. თვალწინ მიდგას შენი გაშლილი ხუთი თითი – 5 შვილიშვილის ბაბუა ვარო, შენი სიტყვებია. უმცროსი შვილის ბედნიერებას ვერ მოესწარი, თუმცა, მზად იყავი ყველაფრით. 59 წლის იყავი, რამდენიმე თვეში 60 წლის იუბილეს გადახდას აპირებდი საგურამოში, სადაც ლამაზი სახლ-კარი შეიძინე. ყველაფერს წინასწარ გეგმავდი, ყველაფრის მოსწრება ჩქარა გინდოდა. ეს ზაფხული საგურამოში შენს ცქრიალა შვილიშვილებთან, შვილებთან, დედასთან და ჩვენთან ერთად გაატარე. ერთი წუთით არ ისვენებდი, თითქოს სადღაც მიგეჩქარებოდა. ყველა ნათესავი თითქმის საგურამოში დაპატიჟე და გვაქეიფე. მაგრამ ცხოვრების ჩარხი უკუღმა შეგიტრიალდა, გულმა გიმტყუნა ჩვენგან მოშორებით – რუსეთის გზაზე. შველა გქონდა და ვერ გიშველეთ. გამგზავრების წინ „გულზე მაჭერსო“, შემომჩივლე. ვერ მიგიხვდი, ამას ვინანებ სიცოცხლის ბოლომდე.

ელგუჯა, ძმაო, ძნელია შევეგუო შენს უეცარ სიკვდილს, მოუშუშებელ ჭრილობად დარჩები ჩემს გულში, უდიდესი სიცარიელე დამიტოვე, რომელსაც ვერაფერი და ვერავინ შეავსებს. 40 დღე სრულდება და მძიმედ მიდის ჩემს გულში შენი არყოფნის სევდის გაცნობიერება. გუჯა, მუდამ იქნები ჩემს გულში, ფიქრებში, ლოცვებში. შენთან ერთად ვსაუბრობ, როგორც შენ იცოდი ჩემთან საუბარი. საწუთისოფლო ცხოვრება გაგრძელდება, მაგრამ შენ გარეშე. მჯერა, შენს განსახორციელებელ გეგმებს შთამომავლობა გააგრძელებს.

„ხორცი კვდება, სული რჩება“ – 17 ნოემბერი შენი სულის ამაღლების დღეა სასუფეველში. უფალს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, მსუბუქი და ნათელი იყოს მიწისქვეშა სასუფეველი.



**იმ ქვეყნად სანთლად გაგყოლოდეს,**
**აქ შენი ნათელი ცხოვრება,**
**ღმერთმა სასუფეველს**
**დაგამკვიდროს,**
**მოჰმადლოს შენს სულს ცხონება.**
**„ნათელი გფენოდეს“.**

*ცხარე ცრემლებით გიხსენებ, ძმაო ელგუჯა, შორენა*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

## ხუთშაბათი 16 ნოემბერი

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მაშველი ლეკვები" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15, 03.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00, 02.00 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** 12.15 "სპორტის დაფა" 12.40, 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 13.25, 22.15 ტ/სერ. **"სახელმწიფო მდივანი"** 14.30 დოკ/ფ "ჩამოთვლილთაგან არც ერთი" 15.30, 04.00 დოკ/ფ " მუზეუმის საიდუმლოებანი" 16.30 ტ/სერ. **"ველვეტი"** 18.30 დოკ/ფილმი. "გონების თამაშები" 19.00 ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** 20.00 ტ/სერ. **"ელემენტარული"** 23.15 დოკ/ფ "თოფ-გიარი" 00.15 მხ/ფ **"ელიზიუმი"** (ჯ.ფოსტერი) 05.00 მხ/ფ **"ჩასაფრებული ვეფხვი" უჩინარი დრაკონი"** 07.00 "დისქავერი"- დოკ/ფ. "ცნობისმოყვარეობა" -"როგორი იქნება სამყაროს დასასრული"

06.30, 16.00 სერ. **"ტყუილი"** 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.10 ქრონიკა 10.10, 14.40 სერ. **"ელიფი"** 11.20 სერ. **"ფიცი"** 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. **"ქალაქის გული"** 18.50, 19.03 სერ. **"მოპარული ცხოვრება"** 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. **"დედა"** 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 23.30 სპორტი იმედზე 00.30 მხ/ფ **"მილიონერი ღარიბთა უბნიდან"** 02.40 მხ/ფ **"დივერსია"** 04.25 მხ/ფ **"ლეგენდა ჰერკულესზე"**

06.00, 18.50 სერ. **"დესპოტი ქმარი"** 07.00, 20.03 სერ. **"დედამთილი"** 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. **"მფარველი ანგელოზი"** 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. **"ფერიჰას საიდუმლო"** 15.30 სერ. **"მზიანი დღეები"** 16.55 სერ. **"ბზარი"** 22.00 პროფილი 23.30 გააცინე და მოიგე 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

08.00 ან/ფ **"ვარსკვლავური ომები-2"** 09.00 სერ. **"შავი კოდი"** 11.00 მხ/ფ **"მის კონგენიალობა"** 13.00 სერ. **"ჩიკაგოს მეხანძრეები 5"** 17.00 სერ. **"სამხედროების ცოლები 4"** 19.00 სერ. **"ცისფერი სისხლი-5"** 21.00 სერ. **"ლურჯის ელფერი"** 22.00 მხ/ფ **"ნოემბრის კაცი"** 00.00 მხ/ფ **"სიზმრებზე მონადირე"** 02.15 მხ/ფ **"კონსტანტინი"** 04.15 მხ/ფ **"მისისიპის აჩრდილები"** 06.20 მხ/ფ **"ნიშნები"**

tv პირველი 7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. **"ცხოვრების გზა"** 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 13.40, 23.00 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დიანა ტრაპაიძის დღის ამბები 15.00, 22.30 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00, მხ/ფ 20.00 პირველები 23.30 ღალატი

იბერია 08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 მულტ/სერ. "დინოფროზი" 09.00 სერ. **"ბანდოლერა"** 10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.20, 04.40 ახალი ამბები 12.00, 2.00 ბიზნეს-კოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.30 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.40 ფაბრიკა 18.30 სერ. **"ყველაფერი ცხოველების შესახებ"** 19.55 მე რომ ვიყო 20.00 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " 21.00 სერ. **"გაქცეულები"** 22.00 სერ. **"ჯადოსნური ამბავი"** 23.00 სახალხო კონტროლი 00.00 მხ/ფ **"პირდაპირი კონტაქტი"** 3.40 ცენზურის გარეშე

06.15 მოკ. მხ/ფ **"არაჩვეულებრივი რეისი"** 06.25 მუს. პაუზა 06.40 სამყაროს შექმნა 06.45 სალბუნი "ხალხური მედიცინა" 07.25 ქართული ალბომი 07.50 პატერიკი-ღირსი მამა ალექსი შუშანია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 დ/ფ "ველური ბუნება-კიონეანგის სპილოები" 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 დ/ფ "ოვალური ბურთი, რაგბი" 10.40 სადღვთისმეტყველო საუბრები 11.30 ეპოქის სახელები 12.05 მხ/ფ **"ნინო"** 13.20 ან/ფ "ფიფქია და 7 ჯუჯა" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 ტრაპეზი "კალმახი ფოლგაში, გამომცხვარი კარტოფილი" 15.40 კონცერტი 16.50 ქრისტიანული ხელოვნება "ქართული ხუროთმოძღვრება" 17.30 საქართველოს ქალაქები "თელავი" 18.10 ბავშვები მუზეუმში "აბრეშუმის მუზეუმი" 18.25 წმინდანები "წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი" 18.40 ძველი აღთქმის განმარტება 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"აკაკის აკვანი"** 20.40 ძილი ნებისა "მე წვიმად მოვალ" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.05 დ/ფ "მიწის სჯული" 22.20 ჩვენი საგანძური 22.35 ჩვენი ფონდი "ვახტანგ მაჭავარიანი, მოგონებები" 1 ნაწ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ძველი აფიშა "ეზოში ავი ძაღლია" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები "მერაბ კოკოჩაშვილი" 01.30 კონცერტი

მაესტრო 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში) 12.00, 15.00, 18.00, 21.00 მთავარი თემა (პირდაპირი)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**16 ნოემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.6538 |
| ევრო | — 3.0904 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.4714 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.4633 |

## ამინდის პროგნოზი 16 ნოემბრისთვის




## 9 ნოემბრიდან




ალექსანდრე ელისაშვილი

# თბილისის თავგადასავალი

„ასეთ წიგნს დიდხანს ველოდი. საბოლოოდ კი გადავწყვიტე, მე თვითონ დამეწერა, ყველასთვის გასაგებ ენაზე მომეთხრო თბილისის თავგადასავალი“ – ამბობს ავტორი.

წიგნს ერთვის მდიდარი ფოტომასალა

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 14 ნოემბრიდან

# უცხოეთში დაკარგული ქართველები

ბედის უკუღმართობით, XV-XIX საუკუნეებში ათასობით ქართველი აღმოჩნდა უცხო მხარეში. ამ წიგნის მიზანია, მკითხველს გაუზიაროს უცხოეთში დაკარგული ქართველების ერთი მცირე ნაწილის თავგადასავალი.




**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**




## 16 ნოემბრიდან

რომან გვენცაძის

# საბედისწერო გასროლა

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## იტალიის ნაკრების მწვრთნელი შესაძლოა რობერტო მანჩინი გახდეს



იტალიის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი შესაძლოა რობერტო მანჩინი გახდეს, რომელიც ამჟამად ზენიტში მუშაობს.

ჯანპიერო ვენტურას ჯერჯერობით თავისი პოსტი არ დაუტოვებია, მაგრამ სავარაუდოდ მას უახლოეს მომავალში გაათავისუფლებენ თანამდებობიდან.

მანჩინის საკმაოდ დიდი სამწვრთნელო გამოცდილება აქვს და მისი ხელმძღვანელობით 2012 წელს მანჩესტერ სიტი ინგლისის ჩემპიონი გახდა.

მანჩინის იტალიაშიც ბევრ კლუბში უმუშავია და ის იტალიელ ფეხბურთელებს კარგად იცნობს.

სხვა კანდიდატურები ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუმცა უახლოეს დღეებში შესაძლოა ახალი გვარებიც გავიგოთ.

## დიეგო მარადონას არგენტინის ნაკრებში დაბრუნება სურს



მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ დიეგო მარადონამ განაცხადა, რომ არგენტინის ნაკრების გაწვრთნა სურს.

მარადონას აზრით, არგენტინა ვერ აჩვენებს იმ ფეხბურთს, რაც საჭიროა იმისთვის, რომ გუნდმა უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლოს.

– ვფიქრობ, დროა, რომ ნაკრებში დავბრუნდე და მდგომარეობა გამოვასწორო. როდესაც არგენტინის ნაკრების მწვრთნელი ვიყავი, კარგი სტატისტიკა მქონდა, – განაცხადა დიეგო მარადონამ.

მარადონას ხელმძღვანელობით არგენტინის ნაკრებმა 2010 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში გერმანიასთან 0:4 წააგო.



## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ სანადიროდ ვიყავი წასული და თოფი სახლში დამრჩა.

– არა უშავს, ხდება ხოლმე. და ამას როდის მიხვდი?

– სახლში რომ დავბრუნდი და ცოლს ნანადირევი კურდღელი გავუწოდე...

●●●

– უკვე ასაკში ხარ და ცოლს რატომ არ ირთავ? – ეკითხება ერთი მეგობარი მეორეს.

– სიმართლე გითხრა, სულ შენ ცოლზე ვფიქრობ...

– რააა... რას მიჰქარავ!

– არა, ვერ გამიგე, უბრალოდ მეშინია, რომ მეც შენნაირი ცოლი არ შემხვდეს...

●●●

მანქანის საჭესთან მჯდომი ცოლი ქმარს ეუბნება:

– ერთი შეხედე რა, ეს ფეხითმოსიარულე ნამდვილი თვითმკვლელია, უკვე რამდენი ხანია ჩვენი მანქანის წინ მირბის, როგორ მოვიქცე?

– მანქანა ტროტუარიდან გადაიყვანე!

●●●

მიხოს ცოლი უკვდება. მარო ეუბნება:

– აი, მიხო, ხომ ხედავ, ვკვდები და სიკვდილის წინ ერთი თხოვნა შემისრულე.

– რა სურვილი?

– სიკვდილის წინ ბოლოჯერ ვისიყვარულოთ.

მიხო დათანხმდება, საქმეს გააკეთებს და მოულოდნელად ქალი გამოკეთდება, გამოჯანმრთელდება. ამ ამბავმა ყველა გაახარა, მარტო მიხო ზის დაღვრემილი.

ამ დროს ერთ-ერთი ახლობელი ეკითხება:

– ჯო, მიხო, რა ცხვირპირი ჩამოგტირის, რამ დაგაღონა?

– ჯო, ეეჰ, თურმე რა წამალი მქონია და მე კიდევ რა მამა ჩავდე კუბოში!

●●●

მეზობელი მეზობელს ეუბნება:

– გილოცავ, მეუღლეს შერიგებიხარ.

– შენ რა იცი, რომ შევურიგდი?

– გუშინ შენი სახლის წინ რომ ჩავიარე, შეშას ერთად ხერხავდით.

– შეშას კი არა... ავეჯს ვიყოფდით...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 10 ნოემბრიდან




ანდრეს ინიესტა

# შემოქმედი

ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ლეგენდარული ფეხბურთელი ამ წიგნში საუბრობს ოჯახზე, ურთიერთობებსა და იმ გზაზე, რომელიც ლა მანჩაში ბეტონის სტადიონიდან „კამპ ნოუმდე“ გაიარა.

„მე მჯერა იმ ძველი გამოთქმის, რომლის მიხედვითაც, ადამიანს შვილი უნდა ჰყავდეს, ხე დარგოს და წიგნი დაწეროს. საბედნიეროდ, ქალ-ვაჟის მამა ვარ; ჩემს საფეხბურთო კარიერას ყოველთვის ექნება კავშირი ხესთან, იმ სათამაშო მოედანზე რომ იდგა, სადაც ბავშვობაში ბურთს ვაგორებდი; და დამრჩა წიგნი, თქვენ ხელთ რომ არის და რომელსაც „შემოქმედი“ ვუწოდე“, – ამბობს ანდრეს ინიესტა.

**ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი**

## მანჩესტერ იუნაიტედს მარკო ასენსიოს ყიდვა სურს



მანჩესტერ იუნაიტედი მადრიდის რეალის ახალგაზრდა ფორვარდით მარკო ასენსიოს შეძენით არის დაინტერესებული და შესაძლოა ასენსიო ინგლისში ვიხილოთ.

ასენსიო ევროპაში ერთ-ერთ მთავარ ახალგაზრდა ვარსკვლავად ითვლება და რეალი მას იოლად არ დათმობს. მარკოს სატრანსფერო ფასი სავარაუდოდ 100 მილიონ ევროზე მეტი იქნება, თუმცა მანჩესტერი მზად არის ამ თანხის გადასახდელად.

ასენსიომ სეზონის დასაწყისში ყველას თავი დაამახსოვრა ბარსელონას კარში გატანილი ლამაზი გოლებით, როგორც ნოუ კამპზე, ასევე სანტიაგო ბერნაბეუზე.



## სერხიო აგუეროს გასახდელში გული წაუვიდა

მანჩესტერ სიტის ფორვარდს სერხიო აგუეროს არგენტინის ნაკრების და ნიგერიის შეხვედრის დროს გასახდელში გული წაუვიდა. ეს შესვენებაზე მოხდა და სერხიო მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას გამოკვლევები ჩაუტარდება.

ჯერჯერობით უცნობია, რა იყო გულის წასვლის მიზეზი და, სავარაუდოდ, ეს რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

აგუერო მალე მანჩესტერში დაბრუნდება, სადაც მას დამატებით გამოკვლევებს ჩაუტარებენ. ბოლო პერიოდში აგუეროს მუდამ თან სდევს ხიფათი და სექტემბრის ბოლოს ის ავარიაშიც მოყვა, მაგრამ, საბედნიეროდ, მძიმედ არ დაშავებულა.

## ხავიერ მასკერანომ ტრავმა მიიღო



არგენტინის ნაკრების და ბარსელონას მცველმა ხავიერ მასკერანომ ნაკრებში ყოფნის დროს ტრავმა მიიღო და, სავარაუდოდ, ერთ თვეს გამოტოვებს.

ალსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მასკერანო იშვიათად ხვდება ბარსელონას ძირითად შემადგენლობაში და ამის მიზეზი სამუელ უმტიტის კარგი თამაშია.

ტრავმის გამო მასკერანო კიდევ უფრო გაირთულებს თავის მდგომარეობას კატალონიურ კლუბში და არ არის გამორიცხული, რომ სეზონის ბოლოს მან ბარსელონა დატოვოს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. სტაჟიორი ადვოკატი ბრიტანეთში; 2. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში; 3. კარაქის შესადღვები ძველებური ხის ჭურჭელი; 4. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 5. უმცროს მეთაურთა წოდება არმიაში; 6. ვულკანი ისლანდიაში; 7. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 9. ფულის ერთეული ისრაელში; 13. ბგერის ნახევარტონით ასამაღლებელი სანოტო ნიშანი მუსიკაში; 17. მოხალული ფქვილისგულიანი ნამცხვარი; 12. მანძილის საზომი ძველებური ფრანგული ერთეული.

**თარაზულად:** 1. ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა; 3. ავადმყოფობის გამომწვევი ჩხირისებრი ბაქტერია; 8. ქერცლფრთიანთა ოჯახის მწერი; 10. ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 11. ქალაქი იაპონიაში; 12. იტალიური სადესერტო ღვინო; 14. მხატვრის, მოქანდაკის სახელოსნო; 15. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 16. დაბალი, გრძელი ტანის მქონე მონადირის ძაღლის ჯიში; 19. ოპტიკურ-კვანტური გენერატორი; 20. ღვინის, დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. მექანიკური მუსიკალური საკრავი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**